პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 169 (11780)
შაბათი, 23 ივლისი 1960 წ.
ფასი 20 კაპ.

## ურღვევი მეგობრობა

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 16 წლისთავის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. გომულკას, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ა. ზავადსკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ცირანკევიჩს გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი, რომლითაც გულითადად ულოცავენ და ყოველივე სიკეთეს უსურვებენ პოლონელ ხალხს.

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ძმური ურღვევი მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობა, რაც ემყარება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, ნათქვამია წერილში, სულ უფრო მტკიცე ხდება და მოაქვს შესანიშნავი ნაყოფი ორივე ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

ამავე დროს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მისალმება გაუგზავნა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. რაპაცკის. (საკდესი).

# კუბელი ხალხის სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს!

## კომუნიკე

### ნ. ს. ხრუშჩოვისა და რ. კასტროს შეხვედრის შესახებ

კუბის რესპუბლიკის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის რაულ კასტროს სსრ კავშირში ყოფნის დროს მან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობის საკითხებზე და სხვა აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

მინისტრმა რ. კასტრომ კუბის რესპუბლიკის მთავრობისა და პირადად პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროს დავალებით მხურვალე მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას იმ დიდი პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერისათვის, რასაც საბჭოთა კავშირი უწევს კუბელ ხალხს.

როგორც კუბის გარშემო შექმნილი საერთაშორისო ვითარების შესახებ აზრთა გაზიარების დროს ხაზგასმით აღინიშნა, უკანასკნელი დროის ფაქტები ცხადყოფენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ წრეებს ხელი არ აუღიათ კუბაში შეიარაღებული შეჭრის გეგმებზე და რომ გაისმის განუწყვეტელი მუქარა — ძალით ჩაახშონ კუბის რესპუბლიკის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა რწმენა გამოთქვა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების მთავრობები ანგარიშს გაუწევენ თავიანთი ხალხების მტკიცე ნებას და მონაწილეობას არ მიიღებენ კუბის წინააღმდეგ ამერიკის მონოპოლიებისა და მილიტარისტების ბნელი ზრახვების განხორციელებაში.

საბჭოთა ხალხი, განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ღრმა სოლიდარობას უცხადებს კუბელი ხალხის ბრძოლას. გამოითქვა მტკიცე რწმენა, რომ ყველა ხალხი მხარს დაუჭერს კუბის რესპუბლიკას და დაეხმარება მას დაამსხვრიოს ეკონომიური ბლოკადის ჯაჭვი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს იხმარს, რათა არ დაუშვას ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენცია კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

მინისტრმა რ. კასტრომ კვლავ გადასცა ნ. ს. ხრუშჩოვს მეგობრული მიწვევა — მთავრობის ვიზიტით ჩავიდეს კუბის რესპუბლიკაში. ნ. ს. ხრუშჩოვმა დაადასტურა თავისი თანხმობა ეწვიოს კუბას. თავის მხრივ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კვლავ მოიწვია კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ფ. კასტრო ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში.

დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვმა რწმენა გამოთქვა, რომ კუბელი ხალხის სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს.

აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი. (საკდესი).

# აყვავდეს საბჭოთა ბალტიისპირეთი!

## საიუბილეო ზეიმი

ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სახელოვანი 20 წლისთავის ზეიმი მოძმე საბჭოთა ხალხების მონოლითური მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.

საიუბილეო სესიები, რომლებიც ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დედაქალაქებში გაიმართა, უდიდესი ენთუზიაზმისა და ნათელი მომავლისადმი ღრმა რწმენის სულისკვეთებით ჩატარდა.

ტალინში გამართულ საიუბილეო სესიაზე საბჭოთა ესტონეთის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა **ი. გ. კებინმა.** მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ო. ვ. კუუსინენმა.**

რიგელ მშრომელთა წინაშე საიუბილეო სესიაზე სახელოვანი 20 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენებით გამოვიდა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა. ი. პელშე.** სესიაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა **ნ. მ. შვერნიკმა.**

ვილნიუსში საზეიმო ვითარებაში ჩატარდა ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს სესია, მიძღვნილი ღირსშესანიშნავი თარიღისადმი. საბჭოთა ლიტვის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. ი. სნეჩკუსმა.** სესიაზე სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. ა. სუსლოვი.**

ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დედაქალაქებში გამართული საიუბილეო სესიების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებითა და ერთსულოვნებით მიიღეს მისალმებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

## გულითადი მილოცვები

ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში — ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავი სახალხო ზეიმის ვითარებაში აღინიშნა.

ამ დიად დღესასწაულთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისალმებანი გაუგზავნეს ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებსა და მინისტრთა საბჭოებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან და ულოცავენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციასა და ყველა მშრომელს უდიდეს ისტორიულ დღესასწაულს. მისალმებაში აღნიშნულია ის გრანდიოზული წარმატებები კულტურის, მეცნიერებისა და ეკონომიკის დარგში, რომლებიც ბალტიისპირელმა ხალხმა 20 წლის მანძილზე მოიპოვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რწმენას გამოთქვამენ, რომ ბალტიისპირელი ხალხი, რომელსაც მდიდარი რევოლუციური ტრადიციები აქვს, ენერგიასა და ძალას არ დაიშურებს, რათა მუდამ იყოს სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში განხორციელებისათვის, შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისა და მათი რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

## მიტინგი გამოფენაზე

21 ივლისს საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალტომოვანი ოჯახი დღესასწაულობს ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის 20 წლისთავს. ამ დიდ ზეიმთან დაკავშირებით მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიმართა მეგობრობის მიტინგი. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ბალტიისპირა რესპუბლიკების პავილიონების მუშაკებმა მიტინგის დამსწრეთ უამბეს წარმატებებზე, რომლებიც ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის მშრომელებმა მოიპოვეს ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში.

აგრარულ ჩამორჩენილ რესპუბლიკებიდან დიდად განვითარებული მრეწველობისა და ინტენსიური სოფლის მეურნეობის რესპუბლიკებამდე — აი ბალტიისპირეთის სოციალისტური რესპუბლიკების 20-წლიანი გზის შედეგები. ერთიათად ამაღლდა მათი სამრეწველო წარმოების დონე. 200-მდე ახალი ქარხანა, ფაბრიკა და დიდი საამქრო აიგო საბჭოთა ლატვიაში. ორმოცზე მეტ ქვეყანაში გააქვს თავისი პროდუქცია საბჭოთა ლიტვას. ესტონელმა მეცხოველეებმა უკვე გაუსწრეს ამერიკას ერთ სულ მოსახლეზე რძისა და ხორცის წარმოებაში.

იუბილარი რესპუბლიკების ამ და სხვა მრავალ დიდ მიღწევაზე ილაპარაკეს ორატორებმა მეგობრობის მიტინგზე. იგი გადაიქცა ხალხთა თანასწორუფლებიანობის, ურღვევი მეგობრობის ლენინური პრინციპების ზეიმის დღესასწაულად.

(საკდესი).

# დიდი შრომითი წარმატება

**საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივანს ამხანაგ გ. ა. ხუსკივაძეს**

**ზესტაფონის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ფ. ა. კაპანაძეს**

**საქართველოს ალკკ ზესტაფონის რაიკომის მდივანს ამხანაგ ბ. ე. სალარიძეს**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომით წარმატებებს — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 102,6 პროცენტით, კვერცხისა — 103,7 პროცენტით, ჩაის ფოთლისა — 103,3 პროცენტით, რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმის 162,8 პროცენტით შესრულებაში.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების გადიდების საქმეში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს სოფელ ზედა ილემის (თავმჯდომარე სევერიანე გიორგის-ძე ოყროშიძე), სოფელ დილიკაურის (თავმჯდომარე ჭაბუკი ალექსანდრეს-ძე ხვედელიძე), სოფელ მეორე სვირის (თავმჯდომარე გიორგი პავლეს-ძე ბრეგვაძე) და სხვა კოლმეურნეობებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისა და სახელმწიფოსათვის ყურძნის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის დიდი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

---

**საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის მდივანს ამხანაგ პ. ნ. ბაქრაძეს**

**ლაგოდეხის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ლ. ჩიკვაიძეს**

**საქართველოს ალკკ ლაგოდეხის რაიკომის მდივანს ამხანაგ რ. მ. ცერცვაძეს**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ დიდ შრომით წარმატებებს — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 104 პროცენტით, კვერცხისა — 100,1 პროცენტით, აბრეშუმის პარკისა — 103,4 პროცენტით და რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმის 147,3 პროცენტით, მატყლისა — 235,3 პროცენტით შესრულებაში.

კარგ წარმატებებს მიაღწიეს რაიონის კოლმეურნეობათა მემინდვრეებმა, რომლებმაც შემჭიდროებულ ვადაში და უდანაკარგოდ აიღეს მთელი მოსავალი.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების გადიდების საქმეში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია სოფლის მშრომელთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ულოცავენ რაიონის მშრომელებს „მოსავლის დღის" დღესასწაულს და სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ სახელმწიფოსათვის თამბაქოს, აბრეშუმის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების 1960 წლის დიდი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ, წარმატებით იქნება შესრულებული.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

# „მტკიცე მშვიდობისათვის, ხალხთა ბედნიერებისა და ნათელი მომავლისათვის"

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოსცა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მასწავლებელთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1960 წლის 9 ივლისს „მტკიცე მშვიდობისათვის, ხალხთა ბედნიერებისა და ნათელი მომავლისათვის".

ამავე ბროშურაში, რომელიც მასობრივი ტირაჟით გამოვიდა, მოთავსებულია სრულიად რუსეთის მასწავლებელთა ყრილობის რეზოლუცია, რომელიც მხურვალედ იწონებს და მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას. (საკდესი).

# საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე მიღებული მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადასახადის გაუქმების შესახებ კანონის განხორციელებასთან.

1960 წლის 1 ოქტომბრიდან შეწყდება იმ მუშა-მოსამსახურეთა გადასახადების აკრეფა, რომლებიც თვეში 500 მანეთამდე ხელფასს იღებენ. მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც თვეში 500 მანეთამდე ხელფასს იღებენ, გადასახადს უკანასკნელად დაუკავებენ 1960 წლის სექტემბრის ხელფასიდან 1960 წლის ოქტომბრის პირველი ნახევრის ხელფასის მიღების დროს.

ამავე დროს კანონის შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა საშემოსავლო გადასახადისა და სსრ კავშირის უცოლშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის შემცირებული განაკვეთები იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც ძირითად სამუშაო ადგილზე თვეში 501-დან 600 მანეთამდე იღებენ.

გადასახადის ახალი შემცირებული განაკვეთების შემოღება უზრუნველყოფს მოქმედი გადასახადების ოდენობის შემცირებას საშუალოდ 40 პროცენტით. გადასახადების შემცირებული განაკვეთით პირველი დაკავება იწარმოებს 1960 წლის ოქტომბრის ხელფასის მიხედვით.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ხელზე მიღებული ხელფასის თანხა მუშა-მოსამსახურეთა ამ ჯგუფში წელიწადზე გადაანგარიშებით 3.6 მილიარდი მანეთით გაიზრდება.

ამრიგად, მიმდინარე წელს დაიწყება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადასახადის გაუქმების შესახებ კანონის პრაქტიკული განხორციელება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

## რ. კასტრო მოსკოვიდან გაემგზავრა

საბჭოთა კავშირში ოთხი დღის ყოფნის შემდეგ 21 ივლისს მოსკოვიდან პრაღას გაემგზავრა კუბის რესპუბლიკის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი რაულ კასტრო. (საკდესი).

# გარდამავალი დროშა — გამარჯვებულებს

**ზუგდიდი.** (საკ. კორ.). რაიონულმა ჟიურიმ შეაჯამა მაის-ივნისში მეჩაიე კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მეცხოველეებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის 124,6 პროცენტით შესრულების, მოკრეფილი ფოთლიდან 80 პროცენტი პირველი ხარისხის ნედლეულისა და მაის-ივნისში საშუალოდ ჰექტარზე 2.072 კილოგრამი ჩაის ფოთლის მიღებისათვის პარტიის ზუგდიდის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ს. ჭეჟია).

ჩაის საბჭოთა მეურნეობებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ზედა ეწრის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ვ. ჩიქავა). ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა ზედაეწრელებმა 127,1 პროცენტით შეასრულეს. მათ მიერ მოკრეფილი ჩაის 86,3 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

წველადობაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ რიყელი მეცხოველეები (თავმჯდომარე მ. ფაცაცია). რიყელებმა 6 თვეში წლიური გეგმა 62 პროცენტით შეასრულეს. ასეთი მაჩვენებლებისათვის ჟიურიმ პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნა რიყის კოლმეურნეობას.

## კომბაინერთა წარმატება

**ლაგოდეხი.** (ტელეფონით). პურის უხვი მოსავალია რაიონში. კოლმეურნე მექანიზატორები თავდადებით მუშაობენ.

სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა" 500 ჰექტარიდან პურის მოსავალი უკვე სამას ჰექტარზეა აღებული. კომბაინერები გიორგი და ალექსი სიხაშვილები ყოველდღიურად 16-18 ჰექტარ ყანას მკიან და ჰექტარზე 25 ცენტნერ მარცვლეულს ლეწავენ. ზოგიერთ ნაკვეთში კი მოსავლიანობა ჰექტარზე ოცდაათ ცენტნერს აღწევს.

სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინერმა ამბროსი ცერცვაძემ სამ დღეში 52 ჰექტარზე აიღო მოსავალი და 1.040 ცენტნერი მარცვლეული გალეწა.

კომბაინერი შოთა მუქთიაშვილი სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობაში წარმატებით იღებს პურის მოსავალს, ჰექტარზე ლეწავს 20 ცენტნერ მარცვლეულს.

**მ. ქვრივიშვილი.**

## მეგობრული დახმარება

**საბჭოთა ავტოტრანსპორტი იმ ჯარებისათვის, რომლებიც კონგოს რესპუბლიკაში იგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად**

როგორც ცნობილია, დამოუკიდებელი კონგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ იმპერიალისტურ აგრესიასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კონგოში გაიგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო ნაწილები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა, დაიმოწმა რა ეს გადაწყვეტილება, თხოვნით მიმართა საბჭოთა მთავრობას — გადასცეს სატვირთო ავტოტრანსპორტი იმ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც კონგოს რესპუბლიკაში იგზავნება.

საბჭოთა მთავრობა დადებითად მოეკიდა ამ თხოვნას. ამ შეიარაღებული ძალებისათვის გამოყოფილია გაზ-63 ტიპის 100 საბჭოთა სატვირთო ავტომანქანა, მათი სათადარიგო ნაწილების კომპლექტი და ერთი სარემონტო საავტომობილო სახელოსნო.

ავტომანქანების ექსპლოატაციის დროს ტექნიკური დახმარების გასაწევად გაიგზავნება ინსტრუქტორთა ჯგუფი.

ავტომანქანებს, სარემონტო საავტომობილო სახელოსნოსა და სათადარიგო ნაწილებს საბჭოთა კავშირის გემი სასწრაფოდ მიიტანს კონგოს ნავსადგურ — მატადიში. (საკდესი).

## კორჩნოი და რეშევსკი — ტურნირში გამარჯვებულნი

**ბუენოს-აირესი,** 22 ივლისი. (საკდესი). ბუენოს-აირესის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გუშინ გაიმართა დასკვნითი, მე-19 ტური.

ტურნირში გამარჯვების ორმა ძირითადმა პრეტენდენტმა გროსმაისტერებმა კორჩნოიმ (სსრ კავშირი) და რეშევსკიმ (ამერიკის შეერთებული შტატები) თავიანთი პარტიები ყაიმით დაამთავრეს: პირველმა ულმანთან (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) 50-ე სვლაზე, მეორემ კი ოლაფსონთან (ისლანდია) მე-20 სვლაზე.

საბომ (უნგრეთი) დაამარცხა ფოგელმანი (არგენტინა), ხოლო ევანს (ამერიკის შეერთებული შტატები) - ტაიმანოვის (სსრ კავშირი) პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი არგენტინაში მოიგეს კორჩნოიმ და რეშევსკიმ, რომლებმაც მოაგროვეს 13 ქულა თვითეულმა და გაიყვეს პირველი ორი ადგილი. უნგრელ გროსმაისტერს საბოს აქვს 12 ქულა და მესამე ადგილზეა. მომდევნო ოთხი ადგილი გაინაწილეს ტაიმანოვმა (სსრ კავშირი), ევანსმა (ამერიკის შეერთებული შტატები), გიმარმა და როსეტომ (ორივე არგენტინა). მათ მოაგროვეს 11-11 ქულა თვითეულმა.

## ცეილონის პრემიერ-მინისტრის განცხადება

**დელი,** 22 ივლისი. (საკდესი). როგორც დელის რადიო იუწყება, გამოვიდა რა ცეილონის რადიოთი, ცეილონის პრემიერ-მინისტრმა ქ-ნმა სირიმავო ბანდარანაიკემ განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს მიჰყვეს იმ პოლიტიკას, რომელსაც განსვენებული პრემიერ-მინისტრი სოლომონ ბანდარანაიკე ახორციელებდა. მან აღთქმა დადო, რომ იშრომებს ისე, რომ რეაქციის ძალებმა ვერ შესძლონ კვლავ დაჩაგრონ ცეილონის ხალხი.

## დაპატიმრება ირანის არმიაში

**ნიუ-იორკი,** 21 ივლისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, დღეს იქ გამოცხადდა, რომ დააპატიმრეს 146 ირანელი ოფიცერი. დაპატიმრებულთა შორის არის ირანის არმიის ხუთი ბრიგადის გენერალი, 56 პოლკოვნიკი და სხვა უმაღლესი თანამდებობის ოფიცრები.

## გუშინ ჩაის პლანტაციებში

1960
22
ივლისი

**გალი.** მოწინავე მეჩაიეები ყოველდღიურად ახალ წარმატებებს აღწევენ. **ქსენია კოკაია** მუშაობს სოფელ დიხაზურგის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობაში. მან ერთ დღეს მოკრიფა 60 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად დღიური ნორმით გათვალისწინებული 20 კილოგრამისა. დღემდე სულ მოკრეფილი აქვს 4 ტონა. ამავე კოლმეურნეობაში **კლავდია გოგოხიამ** მოკრიფა 65 კილოგრამი ჩაის ნედლეული, სულ სეზონში მოკრეფილი აქვს 4,5 ტონა. კოლმეურნეობამ ჩაის კრეფის ივლისის გეგმა 20 ივლისისათვის შეასრულა, ხოლო წლიურ დავალებას 1 აგვისტოსათვის გაანაღდებს.

**ნათელა გამსახურდიამ** ნაბაკევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ყველას გაუსწრო. მან ერთ დღეს მოკრიფა 100 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, დღიური დავალება 500 პროცენტით გაანაღდა. **ციალა ეხვაიამ** მოკრიფა 75 კილოგრამი. კოლმეურნეობამ 22 ივლისისათვის შეასრულა ჩაის კრეფის ივლისის გეგმა. სოფელ მუხურის ჯგუბურიას სახელობის კოლმეურნეობაში **თალიკო გეთიამ** მოკრიფა 60 კილოგრამი ჩაის ნედლეული, ხოლო **ციცინო ბულისკერიამ** — 65 კილოგრამი.

**წყალტუბოს** რაიონის სოფელ გუმბრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ნონა გურეშიძე, რომელიც ყოველდღიურად 100-110 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს კრეფს. მან დღემდე ჩააბარა 4,5 ტონა ჩაის ფოთოლი და ვალდებულება იკისრა სეზონის ბოლომდე სულ მოკრიფოს 7 ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეული.

* * *

**სურათზე:** ნონა გურეშიძე.

ფოტო გ. გერხამიასი. (საქდესის ფოტოქრონიკა).



# ასე დავიწყეთ ახალი იერიში

## ჩვენ, ჩარხმშენებლებმა ვიკისრეთ

**ნახევარწლის** განმავლობაში, რაც გავიდა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შემდეგ, თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანაში დიდი ცვლილებები მოხდა. ქარხანა სრულიად აღარ ჰგავს იმ პატარა საწარმოს, სადაც ორი-სამი წლის წინათ წარმოებდა მოძველებული დაზგებისა და მოწყობილობის შეკეთება. უკანასკნელ წლებში ქარხანა რესპუბლიკის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოდ იქცა, რომელიც უშვებს დიდი სიზუსტის სახეხ ჩარხებს. ამ მოწყობილობაზე მოთხოვნილება ყოველდღიურად იზრდება. თბილისური პრეციზიული სახეხი ჩარხები კარგად არის ცნობილი არა მარტო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, არამედ ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში.

შვიდწლედში ქარხნის კოლექტივის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. 1965 წელს მიმდინარე წელთან შედარებით სახეხი ჩარხების გამოშვება უნდა გაიზარდოს 8-ჯერ, გამოშვებული იქნება მრავალი სახის დიდი სიზუსტის სპეციალური სახეხი ჩარხები. ამ ამოცანის გადასაწყვეტად საწარმოს კოლექტივს დიდი მოცულობის სამუშაოთა განხორციელება დასჭირდება — გაშვებული იქნება ახალი სიმძლავრეები, უნდა დამონტაჟდეს ნაკადური ხაზები, მრავალი ავტომატური და სპეციალური დანადგარი.

ჩარხმშენებლებმა შვიდწლედის გასულ პერიოდში მრავალი ღონისძიება განახორციელეს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. ქარხანაში დიდი რაოდენობით შეიქმნა ტვიფრი და სამარჯვი, რამაც მკვეთრად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, მნიშვნელოვნად გააადვილა შრომა. უკანასკნელ ხანებში მექანიკურ უბანზე დამონტაჟდა დიდი წარმადობის რამდენიმე სპეციალური დანადგარი, მაგალითად, დამყვანი ჩარხი შპინდელების საყელურების ზედაპირის გაკრიალებისათვის, რამაც ხუთჯერ გაადიდა შრომის ნაყოფიერება. ათვისებულია ჩარხის ზოგიერთი დეტალის დამზადება კაპრონისაგან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გახსნის დღისათვის გაზიფიცირებულ იქნა საქვაბე განყოფილების სამი ქვაბი.

ამ ღონისძიებათა განხორციელებამ საშუალება მისცა ჩარხმშენებლებს ვადამდე გაენაღდებინათ წლის პირველი ნახევრის საწარმოო დავალება, გეგმის გადამეტებით გამოეშვათ ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია. ჩარხების თვითღირებულება შემცირდა დაახლოებით 5 პროცენტით, რის შედეგად შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს 300 ათასამდე მანეთი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის „გადაწყვეტილებებმა ახალი ენერგია შემატა ჩარხმშენებლებს. პარტიის მოწოდების საპასუხოდ მათ გადაწყვიტეს კიდევ უფრო დააჩქარონ საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, აითვისონ ახალი პროდუქციის გამოშვება. ამისათვის მათ იკისრეს:

**წლის ბოლოსათვის ნაწილობრივ გადასცენ საექსპლოატაციოდ თერმული უბანი დეტალების მაღალი სიხშირის დენით დამუშავებისათვის.**

**მწყობრში ჩააყენონ დეტალების საბოლოო დამუშავების უბანი.**

**მექანიკურ უბანზე დაამონტაჟონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 2 ნაკადური ხაზი 3110-მ ტიპის სახეხი ჩარხის დეტალების მექანიკური დამუშავებისათვის.**

**გააფართოონ ჩარხის დეტალების დამზადება კაპრონისაგან და ნაცვლად 18-ისა წლის ბოლოსათვის კაპრონისაგან დაამზადონ 25 დეტალი.**

**სერიული ჩარხების ბაზაზე საწარმოს ძალებით დააპროექტონ და გამოუშვან რამდენიმე სხვადასხვა ტიპის სპეციალური სახეხი ჩარხი.**

**წლის ბოლოსათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვან ჩარხები.**

იკისრეს რა გადიდებული ვალდებულებები, ჩარხმშენებლებმა ახალი ძალით გაშალეს ბრძოლა შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის.

---

**გახსოვდეთ!**
**ეს არის მთავარი:**
✱
**დავაჩქაროთ ტექნიკური პროგრესი**
✱
**მოვიგოთ დრო კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში**
✱
**განვახორციელოთ საწარმოთა რაციონალური სპეციალიზაცია**

---

**საქართველოს მშრომელებმა ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილება მოქმედების საბრძოლო პროგრამად მიიღეს. წარმოების მუშაკები ავლენენ და მოქმედებაში მოჰყავთ დამატებითი რეზერვები. ამ გვერდზე მოთხრობილია მოპოვებულ წარმატებებსა და მომავლის პერსპექტივებზე.**

თბილისის კოტონწინდის ფაბრიკაში მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელა მეკოტონე ნ. ორმოცაძემ, რომელიც გეგმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს. სურათზე: ქვეოსტატი პ. სებუა ამოწმებს ნ. ორმოცაძის მიერ გამოშვებულ ქსოვილს.

ფოტო ვ. გინზბურგისა.



---

## პლენუმის მონაწილის ფიქრები და საქმეები

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმი, რომელმაც შეიმუშავა კონკრეტული სამოქმედო პროგრამა ტექნიკური პროგრესის დარგში, დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. პლენუმზე ღრმად და ყოველმხრივ განიხილეს სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების სასიცოცხლო საკითხები.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში რომ ვმონაწილეობდით, ჩვენ ვგრძნობდით ჩვენი წინსვლის გიგანტურ გაქანებას და არნახულ ტემპებს. პლენუმის მონაწილენი გამსჭვალული ვიყავით დიდი შრომითი გმირობისათვის, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი აქტივობისათვის სიამაყის გრძნობით. სიხარულით შევიტყვეთ, რომ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გრანდიოზული პროგრამა წარმატებით სრულდება.

უბრალო მუშა კაცი აღფრთოვანებული ვიყავი, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში ვიღებდი მონაწილეობას, მიხაროდა, რომ ტექნიკური პროგრესისათვის ლაშქრობაში მცირედი წვლილი მეც მიმიძღოდა.

ჩემი გადაწყვეტილება იყო პლენუმის გახსნის დღისათვის საექსპლოატაციოდ გადამეცა სიჩქარეთა კოლოფის კბილანების წინასწარმზომი სამარჯვები. ტექნოლოგიური განყოფილების მუშაკები სამარჯვების დაჩქარებით დამზადებას შემპირდნენ და კიდეც შემისრულეს.

ამწყობი პავლე ყორყოლიანი, კბილანმჭრელები ნოე ფარცვანია და ვლადიმერ დევიძე მხარში ამომიდგნენ. ორი სამარჯვი ავაწყეთ, მერე ამ სამარჯვებით კბილანები წინასწარ გავზომეთ, ვარგისიანობა შევამოწმეთ, დეტალების ნაკლი მაშინვე, საბოლოო ოპერაციამდე გამოვასწორეთ.

დადგა საბოლოო ოპერაციის მომენტი — სიჩქარეთა კოლოფის აწყობა. ავაწყეთ წინასწარ გაზომილი კბილანებიც. კბილანები უნაკლო გამოდგა... ეს იმას ნიშნავს, რომ ერთხელ აწყობილ სიჩქარეთა კოლოფს ამა თუ იმ კბილანის შესაცვლელად აღარ ესაჭიროება ხელახლა მთლიანად დაშლა როგორც ეს წინათ ხდებოდა. ამით ერთდროულად სამი საქმე გაკეთდა — შემცირდა დამზადების დრო, ორჯერ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, დაიზოგა ათასობით მანეთი.

დანაპირები შევასრულეთ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის წინადღეებში კბილანების წინასწარმზომი სამარჯვები საექსპლოატაციოდ გადავეცით.

ჩემი წინადადებით განხორციელდა ავტომობილის მილტუჩაზე ამრეკლის ნახევრადავტომატური შედუღება პირაპირული შედუღებით. მწყობრში ჩავაყენე წლების მანძილზე უმოქმედოდ მდგომი ორი აგრეგატული ჩარხი. მეხუთე სიჩქარის კბილანაში ბრინჯაოს მილისის ჩაწნეხვაზე ორის ნაცვლად ერთი გაუმჯობესებული სამარჯვი გამოვიყენე. ამით ნულამდე დავიდა მილისის წუნი. ამას წინათ შიგამხეხავ ჩარხებზე დავნერგეთ სახეხი ქვის ავტომატური საფარები, რითაც თავიდან იქნა აცილებული ხელის ტრავმა. გაუმჯობესდა უსაფრთხოების ტექნიკა.

ამ წინადადების დანერგვა წელს ქარხანას 149 ათას მანეთ ეკონომიას მისცემს.

ჩვენ განვიზრახეთ ქარხანაში შეგვექმნა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რათა საერთო ღონისძიებები წარგვემართა ტექნიკური პროგრესის ტემპების დასაჩქარებლად. თაოსნობამ ფრთები შეისხა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების წინადღეებში პირველი ასეთი ბრიგადა შეიქმნა. ბრიგადაში ათი ნოვატორი მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსია გაერთიანებული.

ამ დღეებში ბრიგადამ ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინა. იკისრა წლის ბოლომდე შვიდწლედის ფონდში შეიტანოს მილიონი მანეთი და ქალაქის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებს მიმართა მოწოდებით მათი მაგალითისამებრ შექმნან რაციონალიზატორთა ახალი ბრიგადები, იკისრონ კონკრეტული ვალდებულებანი, ჩადგნენ ტექნიკური პროგრესისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

ჩვენ, ქუთაისელი ავტომობილმშენებლები ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, შვიდწლედის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

**ი. ხაზარაძე,**
ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ამწყობი ზეინკალი.

---

## გუმბრინის მომპოვებლებთან

**წყალტუბო.** (საკ. კორ.). „საქგუმბრინის“ მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი, რომელმაც ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ნატეხი გუმბრინი ამოიღო, დიდი აღმავლობით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებას.

№ 2 მაღაროს ნოვატორმა მებიგემ შ. ფანცხავამ, რომელიც პლენუმის გახსნის დღიდან 1961 წლის ანგარიშში მუშაობს, განაცხადა:

— პარტია მოგვიწოდებს კიდევ უფრო ავამაღლოთ შემოქმედებითი ინიციატივა ტექნიკური პროგრესის შემდგომი დაჩქარებისათვის, შვიდწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. ყველა ჩვენგანის ვალია თავისი წვლილი შეიტანოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილების განხორციელებაში. ვკისრულობ წლის მეორე ნახევარში კიდევ ერთი წლის დავალება შევასრულო და სამი რაციონალიზატორული წინადადება შევიტანო.

პარტიის მოწოდების პასუხად ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ა. ფანჩულიძემ, ცვლის უფროსმა გ. გურეშიძემ, მებიგე შ. მიქაძემ და სხვ.

გუმბრინის მომპოვებლებმა გადაწყვიტეს დააჩქარონ მადნის ამოღებისა და გადაზიდვის მექანიზაციის სამუშაოები, ახლად გახსნილ კარიერებზე დანერგონ გუმბრინის ღია წესით მოპოვება, 1 აგვისტომდე დაამთავრონ ფუჭი ქანის გადახსნის მექანიზაციის ყველა სამუშაო.

---

## არის 32 ეშელონი ზეგეგმითი ქვანახშირი

**ტყიბული.** (საკ. კორ.). მეშახტეები უდიდესი ინტერესით სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ყველგან — მიწისქვეშა სანგრევებში, საექსპლოატაციო უბნებში, ცვლებში და ბრიგადებში იგრძნობა უჩვეულო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა.

ი. ბ. სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა დიდი წარმატება მოიპოვა პლენუმის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. 13 ივლისისათვის ამოიღეს 32 ეშელონი ზეგეგმითი ქვანახშირი და წლიური ვალდებულება 169 პროცენტით შეასრულეს. ამ წარმატებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გ. ტურძილაძის, ვ. ორჯონიკიძის და შ. შოთაძის საექსპლოატაციო უბნებმა.

კარგად შრომობენ გელათელი მეშახტეები. აქ განვლილ ექვსნახევარ თვეში 2.700 ტონამდე ქვანახშირი ამოიღეს გეგმის გადამეტებით. შესამჩნევად გადიდდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

---

## აქ გზას უკაფავენ დიდ ქიმიას

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების პროგრამის შესრულებას. პლენუმის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ლენინგრადელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება, სასახელო მაჩვენებლებს მიაღწია:

საწარმოს კოლექტივმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლით გადაამეტა ნახევარი წლის დავალებას, გეგმის გადამეტებით გამოუშვა რამდენიმე ასეული ათასი მანეთის პროდუქცია და ამასთან უზრუნველყო დაწესებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მტკიცედ დაცვა. ექვს თვეში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 1,25 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 3,5 პროცენტით შემცირდა.

ამ წარმატებებში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით ლიტოპონის, ბარიუმისა და თუთია-შაბიამნის საამქროთა კოლექტივებს, რომელთა უფროსები არიან ს. ქუთათელაძე, ს. სებუა და გ. ანასტასიადი.

ყველაზე საამაყო ის არის, რომ ქარხანამ, რომელიც ჯერ კიდევ შარშან არარენტაბელურად მუშაობდა, მიმდინარე წლის ექვს თვეში ასობით ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგებაც კი მიიღო. შექმნილია ყველა წანამძღვარი იმისათვის, რომ მიღწეულ ზღუდეზე არ შეჩერდნენ, გაბედულად გაუკაფონ გზა დიდ ქიმიას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქარხნის კოლექტივმა ჭეშმარიტად დიდი ამოცანა გადაწყვიტა. წარმატებით აითვისა ძირითადი ნედლეულის — თუთიის მიღების ახალი ტექნოლოგია. თუთიის აჯასპი, რასაც აქამდე ძვირად ღირებული თუთიის ჟანგისაგან იღებდნენ, გაცილებით იაფი და ნაკლებად დეფიციტური ნედლეულით — თუთიის ნამწვით შეცვალეს. საამისოდ თუთიის საამქროში დაამონტაჟეს სამი სპეციალური რეაქტორი, გამცრელი მექანიზმი და სხვა დანადგარები.

შედეგი? თუთიის აჯასპის ახალი ტექნოლოგია თუმცა მიმდინარე წლის დამდეგს აითვისეს, მაგრამ ნედლეულის ხარისხი ძლიერ გაუმჯობესდა და საწარმოს ყოველთვიურად სულ მცირე 200.000 მანეთი ეზოგება.

ბევრი რამ გაკეთდა საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, ქარხნის სიმძლავრეთა გადიდებისათვის. საექსპლოატაციოდ გადასცეს ლიტოპონის გამოსაწვავი ახალი მძლავრი ღუმელი, რითაც ლიტოპონის საამქროს წარმადობა 30 პროცენტით გაიზარდა, „ბამაგის“ ტიპის ახალი აირგენერატორის ამუშავებით საბოლოოდ გადაიჭრა აირით საწარმოს უზრუნველყოფის საკითხი. ლიტოპონის საამქროში განახორციელეს როფებში ნატრიუმის სულფატის მიწოდების მექანიზაცია, რითაც მუშათა შრომაც შეამსუბუქეს და ნედლეულის დანაკარგებიც აღკვეთეს. დაწყებულია საქვაბე საამქროსათვის სათბობის მიწოდების კომპლექსური მექანიზაციის სამუშაოები, თუთიის საამქროში მოაწყეს გოგირდის მჟავის შესანახი ახალი რეზერვუარი.

სულ მალე მწყობრში ჩადგება შაბიამნის ახალი საამქრო, რითაც შაბიამნის გამოშვება ერთიორად გადიდდება. მალე საწარმო მასობრივად გამოუშვებს ემულსიურ საღებავებს.

გაეცნო რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებას, საწარმოს კოლექტივმა ერთსულოვნად გადაწყვიტა ენერგიის დაუზოგავად იზრუნოს საწარმოს ტექნიკური სრულყოფისათვის, სისტემატურად ზარდოს შრომის ნაყოფიერება, რათა სამშობლოს მისცეს ქიმიური მრეწველობის რაც შეიძლება მეტი პროდუქცია.

**შ. ჯავახაძე.**

---

## იაფი, საიმედო

**ჩვენი** ქარხნის კოლექტივი პირნათლად გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. უკანასკნელ ხანს საწარმოში ბევრი ღონისძიება განხორციელდა ტექნიკური პროგრესის დარგში. დაინერგა ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, რამაც დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

ავითვისეთ ათამდე ახალი სისტემის მანქანა. საკუთარი ძალებით დავაპროექტეთ და დავამონტაჟეთ კოქსის ტრანსპორტირების, გაცრისა და დოზირების ორიგინალური კონსტრუქციის მოწყობილობა. კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის მიხეილ დონდუას კონსტრუქციის მიხედვით მოდერნიზებულია ჩაის დასატკეპნი მანქანა. გაუმჯობესებული მანქანა გაცილებით მსუბუქი, იაფი და საიმედოა, ამასთან მის დასამზადებლად ორჯერ უფრო ნაკლები დრო იხარჯება.

დავამზადეთ ჩაის საღნობი აგრეგატის ახალი ამძრავი. თუ ძველი სისტემის ამძრავის წონა 1080 კილოგრამი იყო, ახლა იგი მხოლოდ 250 კილოგრამს იწონის. მარტო ამ სიახლის დანერგვის შედეგად ქარხანა წელიწადში 60 ათას მანეთზე მეტ ეკონომიას მიიღებს.

მექანიკურ საამქროში დავამონტაჟეთ დიდი წარმადობის ახალი ლითონდასამუშავებელი ჩარხ-დანადგარები. დავნერგეთ დეტალების კოკილური ჩამოსხმა. ავტომატურად ვახდენთ ზოგიერთი დეტალის ჭრას. დეტალების თერმულ დამუშავებას და შედუღებას ვაწარმოებთ სპეციალურ დანადგარზე მაღალი სიხშირის დენით.

ამ ღონისძიებათა განხორციელებით ქარხანაში მნიშვნელოვნად შემცირდა ხელით შრომა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა ტექნიკური პროგრესის დარგში მოქმედების ახალი საბრძოლო პროგრამა დაგვისახა. **ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს სამსხმელო საამქროში მოვაწყოთ საყალიბე მიწის მომზადების პროცესის სრული მექანიზაცია, დავამონტაჟოთ ორიგინალური კონსტრუქციის მბრუნავი ტრანსპორტიორები, მოვახდინოთ ჩაის სახმობი ღუმელებისა და ხმელი მახარისხებლის მოდერნიზაცია.**

**ი. ნოღაიდელი,**
ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის დირექტორი.

---

## გამარჯვების დღეები

**ჩვენს** ფაბრიკაში თავის დროზე დავიწყეთ მზადება ჩაის ფოთლის მიღება-გადამუშავებისათვის. ორგანიზებულად შევუდექით ჩაის ფოთლის მიღებას. მაისში იყო ისეთი დღეები, როცა რამდენიმე ათეული ტონა ჩაის ნედლეულს ვიღებდით და შეუფერხებლად ვამუშავებდით.

პროდუქციის გამოშვების მაისის დავალება 118,6 პროცენტით გავანაღდეთ. ტექნოლოგიური რეჟიმის მტკიცედ დაცვით მნიშვნელოვნად გავაუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი — უმაღლესი ხარისხის ჩაის გამოშვების დავალება 163,2 პროცენტით გავანაღდეთ.

ივნისში კიდევ უფრო მეტი მონდომებით ვიმუშავეთ და ნახევარი წლის გეგმა 108 პროცენტით შევასრულეთ. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად შევამცირეთ პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯი და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შევიტანეთ 120 ათასი მანეთი.

წარმოების კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს სეზონის ბოლომდე სამშობლოს მისცეს 200 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება.

**ვ. ლლონტი,**
ლანჩხუთის რაიონის აცანის ჩაის ფაბრიკის დირექტორი.

---

## ...რომ მაღაროში გაბატონდნენ მექანიზმები

**ჭიათურის** მარგანეცის მაღაროებში საწარმოო პროცესების სრულყოფისათვის უკანასკნელ პერიოდში მრავალი ღონისძიება განხორციელდა, მაგრამ ჯერ კიდევ მთელი რიგი სამუშაოების შესრულება ადამიანის მძიმე შრომასთან არის დაკავშირებული.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მიმდინარე წელს მოსკოვის სახელმწიფო საპროექტო-საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტული ინსტიტუტის „გიპროუგლემაშის“ ფილიალის შექმნა.

ამ ინსტიტუტის სამუშაო პროფილს ძირითადად ქვანახშირის მრეწველობა წარმოადგენდა. მაგრამ „გიპროუგლემაშის“ ჭიათურის ჯგუფის ამოცანაა ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში დანერგოს მექანიზმები, რომლებსაც ქვანახშირის მრეწველობაში იყენებენ, სათანადო რეკონსტრუქციითა და მოდერნიზაციით ისე გარდაქმნას მექანიზმები, რომ ჭიათურის პირობებში ისინი კარგ შედეგებს იძლეოდნენ. ამასთანავე ჯგუფმა უნდა იმუშაოს ახალი, სრულყოფილი მექანიზმების შექმნაზე მადნის მოპოვების პროცესების მექანიზაციისათვის.

გარდა მარგანეცის მრეწველობისა, ჭიათურის ჯგუფმა მომსახურება უნდა გაუწიოს აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებს.

ჭიათურის ჯგუფმა მუშაობა დაიწყო მიმდინარე წლის მეორე კვარტალიდან. ამ ხნის განმავლობაში შესრულდა შემდეგი სამუშაოები: ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ახალი ითხვისის მაღაროთა სამმართველოში მიმდინარეობს გვირაბის გამყვანი კომბაინის პკ-3-ის დანერგვა წარმოებაში. კომბაინის გამოცდამ დადებითი შედეგები გამოიღო. კომბაინს ცვლაში საშუალოდ გაჰყავს 2,5-დან — 3,0 მეტრამდე სრული კვეთის გამონამუშევარი. გაყვანის ძირითადი ოპერაციები მექანიზებულია. რაც მთავარია, ბურღვააფეთქების სამუშაოთა გამორიცხვით მნიშვნელოვნად მცირდება გვირაბების შენახვის ხარჯები. თითო ასეთი მექანიზმის გამოყენება მარგანეცის მრეწველობას ყოველწლიურად 100 ათას მანეთ ეკონომიას მისცემს. ეს შედეგები კიდევ უფრო გაუმჯობესდება იმის შემდეგ, როცა შესწორდება კომბაინის ზოგიერთი კვანძი.

„გიპროუგლემაშის“ ჭიათურის ჯგუფმა მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელა მარგანეცის მადნის დამუშავების ოპტიმალური სისტემის შერჩევისათვის, კერძოდ ლავებითა და სპირაჯოებით დამუშავების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების დასადგენად. დადგინდა, რომ ერთსა და იმავე სამთო-ტექნიკურ პირობებში ლავებითა და სპირაჯოებით დამუშავების მაჩვენებლები უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც იმას მიეწერება, რომ ლავებიდან მადნის სატვირთად ამჟამად გამოყენებული სასკრეპერო დანადგარის ეფექტიანობა ძალზე დაბალია. ამიტომ განზრახული გვაქვს მიმდინარე წელს ლავებში მადნის სატვირთად გამოვცადოთ და დავნერგოთ დიდი წარმადობის მქონე გამომხვეტი ტრანსპორტიორი „სპ-63“, რომელიც შექმნილია „გიპროუგლემაშის“ კოლექტივის მიერ.

ჯგუფის 1960 წლის გეგმა ითვალისწინებს, რომ კალინინის სახელობის მაღაროთა სამმართველოში ლავებით დამუშავების პირობებში ათვისებულ იქნას ჩვენი ქვეყნის სამთო მრეწველობის ტექნიკური შეიარაღების უკანასკნელი სიახლე — ფარისებური გამაგრების კომპლექსი — „კმ-81“.

ამ მექანიზმის გამოყენება საშუალებას იძლევა სრულიად მოვსპოთ სამაგრი ხის მასალის ხარჯი ლავებში, გამორიცხულია ჭერის ჩამოქცევის საშიშროება და სუსტი ჭერის შემთხვევაში შესაძლებელს ხდის გამოსამუშავებელი ველის ლავებით დამუშავებას. ამ მოწყობილობის ერთი კომპლექსის დანერგვით წლიურად მივიღებთ ნახევარ მილიონ მანეთ ეკონომიას.

ჭიათურის ობიექტებს გარდა, ჩვენ მოგვიხდება გამოვცადოთ და დავნერგოთ რამდენიმე მექანიზმი ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის შახტებში.

„გიპროუგლემაშის“ ჭიათურის ახლად შექმნილი ჯგუფი, რომელსაც მუშაობის ნორმალური პირობები აქვს, მთელი მონდომებით იბრძოლებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება დააჩქაროს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობისა და საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი მექანიზაცია და ტექნიკური პროგრესი.

**გ. დეკანოზიშვილი,**
მოსკოვის ინსტიტუტ „გიპროუგლემაშის“ ჭიათურის ფილიალის უფროსი.



სურათზე: თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი უ. გურგენიძე (მარჯვნივ) და უბნის ოსტატი ვასილ პოპიკინი მუშაობენ სპეციალური სახეხი ჩარხის აწყობაზე.

ფოტო გ. გოგოხიასი.

---

**გახსოვდეთ! ეს არის მთავარი:**

✱ **გამოვიჩინოთ თაოსნობა მშობლიური საწარმოს ტექნიკური სრულყოფისათვის**

✱ **სრულად დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებანი სახალხო მოხმარების საქონელზე**

# ჩვენ თქვენთან ვართ, გმირო კონგოს ხალხო!

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა

[illegible]

...ვიანობა ვრცელდება კონგოს მთელ ტერიტორიაზე, კატანგის პროვინციის ...ულით, რომელიც ბელგიის მთავრობას სურს ძალით ჩამოაცილოს რესპუბლიკას. ჰამარშელდმა განაცხადა აგრეთვე, ...მ განზრახული აქვს გაერთიანებული ...ების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მიმართოს თხოვნით როგორც სამხედრო, ...სამოქალაქო დახმარების გაფართოების შესახებ. ჩვენ ვიმყოფებით მობრუნების პუნქტში, თქვა მან, და ჩვენს ურთიერთობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ ორგანიზაციის მომავლისათვის, არამედ აგრეთვე აფრიკის მომავლისათვის.

შემდეგ სიტყვა მიეცა კონგოს რესპუბლიკის წარმომადგენელს ტ. კანზას. კონგო, თქვა მან, აფრიკის ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა. სამწუხაროდ, ... გახდა ბრძოლის ველი, ქვეყანა, სა... გამეფებულია ქაოსი. ეს იმიტომ მოხდა, რომ კონგოსათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მალე ბელგიამ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ ბელგიის ჯარები კონგოს ტერიტორიაზე შეიძლება გამოყენებულ იქნან მხოლოდ კონგოს მთავრობის თხოვნით. მაგრამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან ოთხი დღის შემდეგ კონგოს ცენტრალურ მთავრობასთან შეუთანხმებლად ბელგიამ დაიწყო შეიარაღებული ჩარევა ახალგაზრდა რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.

ტ. კანზამ დამსწრეთ მოაგონა უშიშროების საბჭოს 13 ივლისის გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს ბელგიის ჯარების გაყვანას კონგოს ტერიტორიიდან და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ კონგოს რესპუბლიკისათვის შეიარაღებული დახმარების გაწევას. მან აღნიშნა, რომ ბელგიის ხელისუფლებმა არ... თქვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე. ბელგიის ელჩმა ლეოპოლდვილში კონგოს რესპუბლიკის მთავრობას განუცხადა, რომ ბელგიის ჯარები გაყვანილ იქნებიან „მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონგოს ტერიტორიაზე აღდგენილ იქნება მშვიდობა და წესრიგი".

კანზამ განაცხადა, რომ კონგოს მთავრობამ დაავალა მას გააცნოს უშიშროების საბჭოს ოთხი წინადადება, რომელთა განხორციელება შესაძლებელს გახდიდა, რომ კონგოში აღდგეს მშვიდობა და მყუდროება:

1. ბოლო მოეღოს ბელგიის აგრესიულ მოქმედებას კონგოში.

2. რაც შეიძლება მალე მოხდეს ბელგიის ჯარების ევაკუაცია რესპუბლიკის ტერიტორიიდან.

ამასთან დაკავშირებით კანზამ მოაგონა დამსწრეთ კონგოს მთავრობის განცხადება, რომ თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ შეძლებს უზრუნველყოს 19 ივლისს 24 საათამდე ბელგიის ჯარების გაყვანა, მთავრობა იძულებული იქნება დახმარებისათვის მიმართოს საბჭოთა კავშირს.

3. კონგოს მთავრობა უშიშროების საბჭოს ყურადღებას მიაპყრობს მაქინაციებს, რომელთა მიზანია კატანგის პროვინციის გამოყოფა რესპუბლიკისაგან. კატანგა კონგოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია, და ჩვენ ვთხოვთ გაერთია-

[illegible]

...თავის მოქალაქეთა დასაცავად". მან არსებითად დაადასტურა, რომ ბელგიის მთავრობას არ სურს შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის მოთხოვნა ინტერვენციული ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ აფრიკის ახალგაზრდა რესპუბლიკის ტერიტორიიდან. ბელგიის ჯარები კონგოში დარჩებიან, თქვა მან, „სანამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები მოვიდოდნენ საკმაო რაოდენობით, რათა უზრუნველყონ წესრიგი".

უპასუხა რა ბელგიის წარმომადგენლის თვალთმაქცურ და თავხედურ გამოსვლას, კონგოს დელეგატმა კანზამ განაცხადა, რომ კონგოელ ხალხს არ მიუღია დამოუკიდებლობა ბელგიის ხელისუფალთაგან, არამედ ბრძოლით მოიპოვა იგი.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა.

**ნიუ-იორკი,** 21 ივლისი. (საკდესი). გამოვიდა რა გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა თქვა, რომ ბელგიის მთავრობა ეყრდნობა იმ სახელმწიფოების მხარდაჭერას, რომლებიც დაინტერესებული არიან კონგოში კოლონიური რეჟიმის შენარჩუნებით და განაგრძობს კონგოს საშინაო საქმეებში შეიარაღებულ ჩარევას. ბელგიის მთავრობა განაგრძობს აშკარა ბრძოლას კონგოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც მტკიცედ განაცხადა, რომ განზრახული აქვს უზრუნველყოს თავისი ქვეყნის ნამდვილი დამოუკიდებლობა და შეინარჩუნოს მისი ტერიტორიული მთლიანობა.

უშიშროების საბჭომ, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ განიხილა კონგოში შექმნილი მდგომარეობის საკითხი, მოუწოდა ბელგიის მთავრობას გაიყვანოს ბელგიის ჯარები კონგოს ტერიტორიიდან.

ახლა საკითხი ის არის, რომ ეს სასარგებლო გადაწყვეტილება განხორციელდეს.

კონგოში, განაგრძო ვ. ვ. კუზნეცოვმა, ყოველდღე ჩადიან ბელგიის ჯარების სულ ახალ-ახალი კონტინგენტები, ამასთან დამახასიათებელია, რომ ბელგიის ჯარების ახალი მაშველი ძალები ჩადიან კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნაწილების ჩასვლასთან ერთად.

ბელგიელმა პარაშუტისტებმა ხელთ იგდეს კონგოს მთელი რიგი ქალაქები და ფაქტიურად განახორციელეს კონგოს დედაქალაქის ლეოპოლდვილის ოკუპაცია. ბელგიელთა ხელშია აეროდრომები, უმნიშვნელოვანესი გზები და ხიდები. უკანასკნელი ცნობებით, კონგოში გადაჰყავთ რაკეტული იარაღით აღჭურვილი ბელგიის თვითმფრინავები, კოლონიზატორთა ჯარები გაძლიერებით აგებენ ლეოპოლდვილში ფორტიფიკაციებს, რაც იმას მოწმობს, რომ ისინი ხანგრძლივი ომისათვის ემზადებიან. ამავე დროს ოკუპანტები აფართოებენ თავიანთი საომარი ოპერაციების მასშტაბს კონგოში. კონგოს არმიის წინააღმდეგ იყენებენ თვითმფრინავებზე დადგმულ რაკეტულ იარაღს,

[illegible]

...ზატორები კვლავ ახორციელებენ კონგოს საშინაო საქმეებში აშკარა სამხედრო ჩარევას, თქვა შემდეგ საბჭოთა წარმომადგენელმა, მდგომარეობა კონგოში დღითიდღე მწვავდება.

კონგოს რესპუბლიკის მთავრობა კვლავ და კვლავ მიმართავს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, აცნობებს, რომ მის ქვეყანას მომაკვდინებელი საფრთხე მოევლინა, და სთხოვს მიიღოს სასწრაფო ღონისძიებანი აგრესიის აღკვეთისათვის. უწინარეს ყოვლისა იგი მოითხოვს ბელგიის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას კონგოდან. მაგრამ კონგოს რესპუბლიკის მთავრობის ამ მოთხოვნას კვლავ უგულებელყოფენ ბელგიის ჯარები.

უშიშროების საბჭომ, რომელსაც ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის, დაუყოვნებლივ უნდა გაუწოდოს დახმარების ხელი იმპერიალისტური აგრესიის მსხვერპლს და მიიღოს ეფექტიანი ღონისძიებანი, რომლებიც დაეხმარებიან კონგოს განამტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა.

საბჭოთა დელეგაცია სავსებით იზიარებს კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტის კასავუბუსა და პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას თვალსაზრისს, რომ „ახლანდელი აგრესია გარედან" კონგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ „საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას".

„ძნელი არ არის იმის დანახვა, — განაცხადა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტ კასავუბუსა და პრემიერ-მინისტრ ლუმუმბასადმი პასუხში 15 ივლისს, — რომ იმათ, ვინც დაიწყო შეიარაღებული ინტერვენცია კონგოს მიმართ და ვინც აგულიანებდა ბელგიელებს ამისათვის, სურთ ლახვარი ჩასცენ აფრიკის ყველა ხალხს, სურთ ხელშეუხებლად დატოვონ შუასაუკუნეობრივი, მონათმფლობელური წესები აფრიკის კონტინენტის მეტ ნაწილში".

ამიტომ კონგოს წინააღმდეგ აგრესიის აღკვეთის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოსათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოვალეა ხმა აღიმაღლოს კოლონიზატორების დანაშაულობათა წინააღმდეგ და გადადგას ქმედითი ნაბიჯები კონგოს რესპუბლიკის დასაცავად.

იმის მიხედვით, რაც კონგოში ხდება, ყველაზე გადაუდებელი ღონისძიებაა აგრესორთა ჯარების, ე. ი. ბელგიის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა. ეს მოთხოვნა ყოველმხრივ მხარდაჭერას პოულობს.

ამავე დროს საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე უშიშროების საბჭოს წევრთა ყურადღება მიაპყროს ბელგიის ხელისუფალთა ახალ მანევრებს, რომელთა მიზანია შექმნან გარეგანი შთაბეჭდილება, რომ ბელგია ასრულებს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მოთხოვნას ჯარების გაყვანის შესახებ. ახლა აპირებენ, მაგალითად, ჯარების ნაწილის გადაყვანას ლეოპოლდვილიდან კონგოს რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

ბელგიას სურს ასეთი გადაყვანა გაასაღოს, როგორც მათი ნაწილობრივი ევაკუაცია. ეს, რა თქმა უნდა, ვერავის შეიყვანს შეცდომაში.

ბელგიის ჯარების ყოფნა კონგოს რესპუბლიკაში შეუწყნარებელი გამოწვევაა არა მარტო ამ რესპუბლიკის მთავრობისადმი, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოსადმი. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ჯიუტობა, რასაც ბელგიის მთავრობა იჩენს, შეუძლებელი იქნებოდა, მის ზურგს უკან რომ არ იდგნენ მისი ძლიერი მფარველნი — სამხედრო მოკავშირენი ნატოდან.

ბოლოს და ბოლოს, დროა ბოლო მოეღოს შეუწყნარებელ მდგომარეობას, როცა ბელგია უგულებელყოფს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას, თქვა ვ. ვ. კუზნეცოვმა.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა დელეგაციას, საბჭოთა მთავრობის დავალებით, შემოაქვს უშიშროების საბჭოს განსახილველად შემდეგი პროექტი რეზოლუციისა:

„უშიშროების საბჭო,

მოისმინა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენება კონგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ბელგიის აგრესიის საკითხზე,

მტკიცედ მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს შეიარაღებული ინტერვენცია კონგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და სამი დღის ვადაში გაყვანილ იქნენ მისი ტერიტორიიდან აგრესორის მთელი ჯარები,

მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს პატივი სცენ კონგოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას და არ მიმართონ არავითარ მოქმედებას, რომელიც დაარღვევდა ამ მთლიანობას".

საბჭოთა დელეგაცია გამოთქვამს იმედს, რომ ამ პასუხსაგებ ჟამს მის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი უშიშროების საბჭოს წევრთა საყოველთაო მხარდაჭერას ჰპოვებს.

თუ აგრესია გაგრძელდა, ბუნებრივია, საჭირო გახდება უფრო ქმედითი ღონისძიებების მიღება როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხაზით, ისე იმ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ხაზით, რომლებიც თანაუგრძნობენ კონგოს საქმეს.

## საერთაშორისო ცხოვრება

**დეპეშები ცნობები მიმოხილვა**

## ლუმუმბას გადაწყვეტილება

**ლონდონი,** 21 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, დღეს აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი პატრის ლუმუმბა აპირებს გაემგზავროს ნიუ-იორკში, რათა „დაიცვას კონგოს მთავრობის თვალსაზრისი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში".

## საბჭოთა ლაინერები „ილ-18" ჩაფრინდნენ ლეოპოლდვილში

**ლეოპოლდვილი,** 21 ივლისი. (საკდესი). დღეს აქ მოფრინდა ოთხი საბჭოთა თვითმფრინავი „ილ-18", რომლებმაც ჩამოიტანეს სურსათი კონგოს რესპუბლიკის მოსახლეობისათვის, აგრეთვე ჩამოიყვანეს განის სამხედრო ქვეგანაყოფნი, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შემადგენლობაში შედიან.

## მ. ჩომბე

### იმპერიალისტების აგენტი

**ნიუ-იორკი,** 21 ივლისი. (საკდესი). ამერიკული ჟურნალი „ტაიმი", ახასიათებს რა კატანგის პროვინციის პრემიერ-მინისტრის როლს, რომელმაც გამოაცხადა პროვინციის გამოყოფა კონგოს რესპუბლიკისაგან, აღიარებს, რომ ჩომბესა და დასავლეთის მონოპოლიებს, განსაკუთრებით ამერიკულ მონოპოლიებს შორის მჭიდრო კავშირია. სტატიის ავტორი გულახდილად აცხადებს, რომ „ჩომბეს მხარს უჭერს მძლავრი კომპანია „იუნიონ მინიერი", რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და ბელგიის კაპიტალისტებს ეკუთვნით და რომ მის წილად მოდის 60 პროცენტი კობალტი, 10 პროცენტი ურანი და 8 პროცენტი სპილენძი, რასაც კაპიტალისტურ სამყაროში მოიპოვებენ.

როგორც ჟურნალი „ტაიმი" წერს, ამ კარტელმა „დააფინანსა ჩომბეს საარჩევნო კამპანია და მისცა ჩომბეს მრჩეველი. როცა იგი მიმდინარე წლის თებერვალში დაესწრო ბრიუსელის მოლაპარაკებას.

ჩომბემ, ნათქვამია სტატიაში, „მოამზადა თავისი პროვინციის ინდუსტრიალიზაციისათვის გერმანიის, საფრანგეთისა და ამერიკის კაპიტალის მოზიდვის გეგმა. დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ იგი ეწვია ამ სამ ქვეყანას და განსაკუთრებით აღტაცებული იყო ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში მოგზაურობით. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის შემდეგ ჩომბემ განაცხადა: „ამერიკელები ჩვენ გვჭირდება უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმე". ჩომბე განამტკიცებდა ბელგიელებთან ურთიერთობას, ვარაუდობდა რა, რომ იხსნის მათ უდიდეს კაპიტალდაბანდებათა ნაწილს კონგოში..."

## თეთრ სახლს თავზარი დაეცა

**ნიუ-იორკი,** 20 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, პირველი ცნობა კონგოს მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ მიიწვიოს საბჭოთა ჯარები დახმარების გასაწევად ბელგიის ჯარების გაძევებაში, ვაშინგტონის ოფიციალური პირებისათვის „თავზარდამცემი მოულოდნელობა" იყო. სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თანამშრომლებმა, აღნიშნავს კორესპონდენტი, სასწრაფოდ მოიწვიეს თათბირი, რათა განიხილონ ახალი სიტუაცია, და ჯერჯერობით უარს ამბობენ კომენტარი გაუკეთონ პრემიერ-მინისტრ ლუმუმბას გადაწყვეტილებას.

## კონგო დახმარებას ითხოვს, რომ განდევნოს ოკუპანტები

**პარიზი,** 20 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, კონგოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა დღეს მიმართოს სსრ კავშირის ან აფრიკა-აზიის ბლოკის რომელიმე სხვა ქვეყანას თხოვნით დახმარება გაუწიონ კონგოს რესპუბლიკას და დაეხმარონ მას განდევნოს იქ მყოფი ბელგიის ჯარები.

კონგოს პრემიერ-მინისტრმა ლუმუმბამ თავის პრეს-კონფერენციაზე წაიკითხა განცხადება, რომელიც მინისტრთა საბჭომ 20 ივლისს მიიღო. ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა სთხოვოს სსრ კავშირს ან აფრიკა-აზიის ბლოკის რომელიმე სხვა ქვეყანას დახმარება გაუწიოს კონგოს და დაეხმაროს მას განდევნოს იქ მყოფი ბელგიის ჯარები.

მინისტრთა საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს თხოვნა დახმარების შესახებ სრულიად არ გამოიწვევს კონგოს პოლიტიკურ კავშირს ამა თუ იმ ბლოკთან.

## ბელგიელ მოძალადეთა სისხლიანი ნაკვალევი

**ლონდონი,** 21 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" სპეციალური კორესპონდენტი ო'დრისკოლი დღეს აღწერს, თუ რა მხეცურად აწიოკეს ბელგიის სადამსჯელო ჯარებმა კონგოს ქალაქ მატადის მოსახლეობა „9 ივლისს — ბელგიელ ოფიცერთა წინააღმდეგ კონგოელი ჯარისკაცების აჯანყების მეორე დღეს, — წერს ო'დრისკოლი მატადიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში, — ბელგიის კონსულმა უბრძანა ქალაქში მყოფ ყველა ბელგიელს გახიზნულიყვნენ. გემი მატადიდან იმ საღამოსვე გავიდა. მეორე დღეს კი დაახლოებით დილის 9 საათსა და 30 წუთზე ბელგიის ჯარებმა იერიში მიიტანეს".

მატადის მცხოვრებლებს, წერს კორესპონდენტი, „ვერ დაუვიწყნიათ შიშის გრძნობა, რომელიც მათ განიცადეს, როცა ბელგიის ოთხმა სამხედრო ხომალდმა, რომლებიც მდინარე კონგოში იდგნენ, სროლა ატეხა, ჰაერიდან დაბომბვა დაიწყეს ბელგიის თვითმფრინავებმა, ხოლო ქალაქის ქუჩებში სროლა ატეხეს ბელგიელმა ჯარისკაცებმა.

სამხედრო ხომალდებიდან სროლის შედეგად ცეცხლი გაუჩნდა ერთ-ერთ დიდ ნავთობსაცავს, რომელშიც იყო 10 ათასი გალონი საწვავი, ეს საწვავი იდგა სხვებს შორის ნავსადგურის ახლოს. ნავთობი იწვოდა კვირის განმავლობაში და პანიკას იწვევდა მოსახლეობაში.

ქუჩები გაჭედილია მანქანებით, რომლებიც გარდიგარდმო დგას გზაზე, სადაც ისინი შეაჩერა ტყვიამფრქვევის ცეცხლმა. მაგალითად, ერთ-ერთ გზაჯვარედინზე დგას კონგოს საზოგადოებრივი უშიშროების ძალების ჯიპი, სადაც იგი გააჩერეს ბელგიელებმა და სადაც მათ დახოცეს ყველა, ვინც მანქანაში იყო. ავტომობილის იატაკი დაფარულია შედედებული სისხლით, ხოლო საჯდომზე დევს გასისხლიანებული პიჯაკი. ნავსადგურზე ამ თავდასხმის დროს ოთხი აფრიკელი პოლიციელი დაიმალა საპოლიციო უბნის პატარა ოთახში. იქ შეიჭრნენ ბელგიელები და დახოცეს ისინი.

დღეს მე ვნახე, რომ ნავსადგურში მდგარი ზოგიერთი ავტომობილი დახვრეტილი იყო. ერთ შენობასთან ნავსადგურში ელაგა ადამიანის კანის ნაჭრები, იქვე იყო შედედებული სისხლის ლაქები და პოლიციელის ფორმის ქურთუკი, დაცხრილული ტყვიებით".



ბელგიის აგრესია კონგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ გრძელდება. სურათზე: ბელგიელი პარაშუტისტები აკავებენ ლეოპოლდვილის აეროდრომისაკენ მიმავალ კონგოელებს.

ფოტო ასოშიეიტედ პრესის სააგენტოსი.

## სერიოზული გაფრთხილება

**ბერლინი,** 20 ივლისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური პრესა დღეს იუწყება საბჭოთა მთავრობის განცხადების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის სამხედრო ჯგუფი გადაჯდა ლეოპოლდვილში. პრესა ამ განცხადებას აფასებს როგორც სერიოზულ გაფრთხილებას ამერიკის სამხედრო წრეების მიმართ, რომლებიც აგრესიულ გეგმებს ამზადებენ აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს — კონგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. ბერლინის დემოკრატიული გაზეთები ცნობებს ბეჭდავენ სათაურებით: „სსრ კავშირი სერიოზულ გაფრთხილებას იძლევა", „ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჯგუფი გაყვანილ უნდა იქნეს კონგოდან", „სსრ კავშირი მოითხოვს ამერიკელი ჯარისკაცების გაყვანას".

საბჭოთა მთავრობამ, წერს გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი", ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას პროტესტი გაუგზავნა იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის სამხედრო ქვეგანაყოფი 20 კაცის შემადგენლობით ჩავიდა ლეოპოლდვილის აეროდრომზე. საბჭოთა მთავრობა მოელის, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, რომ ეს ქვეგანაყოფი დაუყოვნებლივ იქნება გაყვანილი კონგოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან. „ბერლინერ ცაიტუნგი" აღნიშნავს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა მთავრობა იძულებული იქნება გააკეთოს შესაბამისი დასკვნები თავისი მოქმედებისათვის.

## სირიმავო ბანდარანაიკე — ცეილონის პრემიერ-მინისტრი

**ლონდონი,** 21 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კოლომბოდან იუწყება, გასული წლის სექტემბერში მოკლული პრემიერ-მინისტრის სოლომო ბანდარანაიკეს ქვრივმა ქ-ნმა სირიმაო ბანდარანაიკემ დღეს დასდო ფიცი როგორც ცეილონის პრემიერ-მინისტრმა.

სირიმაო ბანდარანაიკე მსოფლიოში პირველი პრემიერ-მინისტრი ქალია.

## გადადგა ლიბანის მთავრობა

**პარიზი,** 20 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, დღეს გადადგა ლიბანის მთავრობა, რომელსაც მეთაურობს პრემიერ-მინისტრი აჰმედ დაუკი, როგორც ცნობილია, ეს ნეიტრალური მთავრობა შეადგინეს პარლამენტის არჩევნების პერიოდისათვის, რომელიც მოეწყო ამა წლის 6 ივნისიდან 4 ივლისამდე.

## ამერიკის თვითმფრინავები აფეთქდა ჰაერში

**ნიუ-იორკი,** 20 ივლისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი შოუს საავიაციო ბაზიდან (სამხრეთ კაროლინის შტატი) იუწყება, დღეს დელზელის (სამხრეთ კაროლინა) თავზე ერთმანეთს დაეჯახა „F-101-ვუდუს" მარკის ორი რეაქტიული თვითმფრინავი. თვითმფრინავები საცხოვრებელ სახლს დაეცნენ. ორივე პილოტი და სახლში ყველა მყოფნი დაიხოცნენ.

## ხალხმა გზა გადაუღობა ავანტიურას

**რომი,** 20 ივლისი. (საკდესი). იტალიის ყველა მიმართულების პრესა დღეს ფართო კომენტარს უკეთებს ტამბრონის მთავრობის — ომის შემდგომი პირველი ქრისტიანულ-დემოკრატიული მთავრობის დამხობას, რომელიც ხელისუფლებას შეერჩა ნეოფაშისტური პარტიის „იტალიის სოციალური მოძრაობის" მხარდაჭერით. „ბოლო მოეღო სამარცხვინო მოვლენას, ლიკვიდირებულია რეაქციული ავანტიურის მოვლინებული საფრთხე, — წერს გაზეთი „უნიტა", — ...გაიმარჯვა ხალხმა და, უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასმა და ახალგაზრდობამ, რომლებმაც ბრწყინვალედ ცხადყვეს თავიანთი გონება, ენერგია, მომწიფებული დემოკრატიული შეგნება... გაიმარჯვა ხალხმა ამ სიტყვის უაღრესად მაღალი მნიშვნელობით, გაიმარჯვეს ანტიფაშისტურმა და დემოკრატიულმა იდეალებმა".

სოციალისტური პარტიის ორგანოს გაზეთ „ავანტის" მიაჩნია, რომ მომავალი ახალი მთავრობის პირველი ამოცანაა მოქალაქეთა თავისუფლებისა და თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპების სრული აღდგენა".

გაზეთი „ჯუსტიცია" წერს, რომ ტამბრონის მთავრობის დამხობა შესაძლებელს ხდის შეიქმნას „დემოკრატიული" მთავრობა. ტამბრონის გარშემო, აღნიშნავს „ჯუსტიცია" შეკავშირდნენ მარტო ნეოფაშისტები, მონარქისტთა ნაწილი და ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის უკიდურესად მემარჯვენე მიმდინარეობა, ე. ი. პოლიტიკურ-საპარლამენტო ბლოკის სწორედ ის ძალები, რომლებმაც სავსებით გაიტეხეს სახელი იტალიის თვალში".

ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო გაზეთი „პოპოლო" მოვალეობის გამო იცავს დამხობილ მთავრობას, და ცდილობს განაახლოს ანტიკომუნისტური პოლემიკა. მიუხედავად ამისა, გაზეთი აღიარებს, რომ ტამბრონის მთავრობა შედიოდა ბლოკში, რომელიც ეწინააღმდეგება „დემოკრატიის დაცვის ინტერესებს".

## მთავრობის კრიზისი იტალიაში

**რომი,** 21 ივლისი, (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტმა გრონკიმ გუშინ საღამოს დაიწყო კონსულტაციები პოლიტიკურ ლიდერებთან მთავრობის კრიზისის გადაჭრის მიზნით.

მან მიიღო კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფების წარმომადგენლები პალმირო ტოლიატი (დეპუტატთა პალატა) და უმბერტო ტერაჩინი (სენატი). საუბრის დამთავრების შემდეგ ტოლიატიმ ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დაძაბულობის შენელება მთავრობისა და მოქალაქეთა ურთიერთობაში და ამ შენელების ერთ-ერთი მთავარი პირობაა ნდობის აღდგენა ყველა უფლებათა და ყველა კონსტიტუციურ გარანტიათა ურთიერთპატივისცემის საფუძველზე".



სურათზე: ბრძოლები რომის ქუჩებში. ტამბრონის მთავრობამ ცხენოსანი პოლიცია გამოიყვანა დემონსტრანტთა წინააღმდეგ, რომლებიც იტალიის დედაქალაქის ქუჩებში ფაშიზმის წინააღმდეგ მიმართული ლოზუნგებით გამოვიდნენ.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

☐ საბერძნეთის გამომცემლობა „ეპისტემონიკი იდისისმა" მასობრივი ტირაჟით გამოუშვა ბროშურა: „ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეკრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1960 წლის 28 მაისს".

☐ როგორც ჯაკარტის რადიო იუწყება, ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუბანდრიომ 21 ივლისს განაცხადა, რომ ჰოლანდიის ყოველგვარი პროვოკაცია, რომელსაც იგი განახორციელებს, რათა გააძლიეროს თავისი ჯარების კონტინგენტები ინდონეზიის რესპუბლიკის ფარგლებში, შესაბამის საპასუხო მოქმედებას გამოიწვევს ინდონეზიისა და მისი შეიარაღებული ძალების მხრივ.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ეს განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ ჰოლანდიას განზრახული აქვს ახალი რეაქტიული ბომბდამშენები განალაგოს დასავლეთ ირიანის ტერიტორიაზე.

☐ 21 ივლისს ჟენევაში სსრ კავშირის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გაიმართა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ სამი სახელმწიფოს თათბირის მორიგი სხდომა.

## ვაშინგტონი ჯიუტად ახორციელებს პროვოკაციულ პოლიტიკას

**ნიუ-იორკი,** 20 ივლისი. (საკდესი). როგორც ამერიკის დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰერტერი გუშინ ნიუპორტში (როდ-აილენდი) შეხვდა პრეზიდენტ ეიზენჰაუერს, რათა განეხილა, კერძოდ, საბჭოთა კავშირთან ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საკითხი და სხვა საერთაშორისო პრობლემები, განცხადებები, რომლებიც ჰერტერმა გაუკეთა პრესის წარმომადგენლებს ეიზენჰაუერთან თავისი თათბირის შემდეგ, მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები კვლავ ჯიუტად ახორცილებენ თავიანთ პროვოკაციულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირისა და მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის სხვა ქვეყნების მიმართ იმის ნაცვლად, რომ სერიოზულად იფიქრონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებებზე.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების აშკარა საწინააღმდეგოდ ჰერტერი ამტკიცებდა, თითქოს საბჭოთა კავშირის მიერ თავისი სუვერენიტეტის და სხვა ქვეყნების სუვერენიტეტის თანამიმდევრული დაცვა, რომლებსაც აგრესია ემუქრება, ამერიკის შეერთებული შტატებისა და აგრესიულ ბლოკებში მათი მოკავშირეების მხრივ, „უაღრესად პროვოკაციული ხასიათისაა".

ჰერტერის სიტყვით, ეიზენჰაუერთან თათბირის დროს განხილულ იქნა აგრეთვე „კუბის სიტუაცია" და მდგომარეობა კონგოში. ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კვლავ გაილაშქრა კონგოდან ბელგიის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის წინააღმდეგ.

## ლიბანის პრეზიდენტის განცხადება

**პარიზი,** 20 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, დღეს ლიბანის პრეზიდენტმა ფუად შეჰაბმა ლიბანის პარლამენტის თავმჯდომარე ჰამადეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც განაცხადა, რომ გადაწყვიტა გადადგეს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტიდან. ამავე დროს ფუად შეჰაბმა ჰამადეს გადასცა წერილი ლიბანელი ხალხისადმი. ამ წერილში პრეზიდენტმა შეჰაბმა განაცხადა, რომ ახლა, როცა არჩეულია ახალი პარლამენტი და შექმნილია პოლიტიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირების პირობები, მან შეასრულა მისია, რომელიც მას სახელმწიფომ დააკისრა 1958 წლის ივლისში. მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა მოიწვიოს პარლამენტი 26 ივლისს, რათა აირჩიოს რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი.

## მაკმილანი ფაქტებს ამახინჯებს

**ლონდონი,** 20 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „დეილი უორკერმა" დაბეჭდა სარედაქციო სტატია, რომელიც პრემიერ-მინისტრ მაკმილანს ბრალად სდებს ფაქტების დამახინჯებას ინგლისის ბაზიდან სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში ამერიკის „რბ-47" თვითმფრინავის პროვოკაციულ ფრენასთან დაკავშირებით. „თავის განცხადებებში, რომლებსაც ახასიათებს განსაკუთრებული ცინიკური ფარისევლობა, — წერს გაზეთი, — მაკმილანი ყოველნაირად ცდილობდა დაემახინჯებინა ჭეშმარიტება და ბრალი რუსებისათვის დაეკისრებინა, მაგრამ იგი ამას ვერ მოახერხებს. პატიოსანი ადამიანები აღშფოთდებიან ფაქტების დამახინჯების ამ ცდით".

მაკმილანი, აღნიშნავს გაზეთი, „მთლიანად დაეთანხმა „რბ-47" თვითმფრინავის ინციდენტის ამერიკულ ვერსიას და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ეს თვითმფრინავი იმყოფებოდა საბჭოთა ტერიტორიის ფარგლებს გარეთ და „ასრულებდა აბსოლუტურად უვნებელ დავალებას". მაგრამ, განაგრძობს — „დეილი უორკერი", — მაკმილანის საქვეყნო განცხადებათა სიყალბე ამ ფრენის უვნებელი ხასიათის შესახებ ამხილა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსმა ტომას უაიტმა, რომელმაც ამერიკის ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ეწევიან „ძალის თავისებურ დემონსტრაციას; თვითმფრინავები, შესაძლოა, დაფრინავენ მტრის რადარული დანადგარების მოქმედების ფარგლებში".

„ინგლისელ ხალხს მიაჩნია, — წერს გაზეთი, — რომ მაკმილანი ახორციელებს „ცივი ომის" განგრძობისა და ატომური ომის ზღვარზე პენტაგონის ბალანსირების მხარდამჭერის სამარცხვინო პოლიტიკას, როცა ინგლისის ტერიტორიას გადასცემს ამერიკელთა განკარგულებაში მოქმედებისათვის, რომელსაც შეუძლია ეს ქვეყანა საშინელ კატასტროფამდე მიიყვანოს.

ინგლისელ ხალხს მიაჩნია, რომ თუ მთავრობა ეტყოდა „არას" ინგლისიდან ამერიკელთა ფრენას, ეს ყველაზე მეტად შეუწყობდა ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას".

# საბჭოთა ისტორიული ენციკლოპედია

გამომცემლობა „საბჭოთა ენციკლოპედია“ [illegible]

[illegible] „ვახტანგ VI“, „გიორგი XII“, „ერეკლე II“, „ილია წერეთელი“, „გიორგი წერეთელი“, „ილია ჭავჭავაძე“, და სხვ.).

[illegible]

საბჭოთა ისტორიული ენციკლოპედია ითვალისწინებს დიდძალ სტატიებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ისტორიაში. საბჭოთა ისტორიული ენციკლოპედიის [illegible] სტატიაში (მაგალითად, „ალექსანდრე I“, „ლუარსაბ I“, „თეიმურაზ I“, „გიორგი სააკაძე“, „ვახტანგის კანონები“, „ქართული კოლონია მოსკოვში“, „არჩილ II“, [illegible] კომუნისტური პარტიის ისტორიაში, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა კომუნისტური და მუშათა პარტიების ისტორიაში, მარქსიზმ-ლენინიზმში.

(საქდესი).

# იტალიელი სტუმრები

**თბილისში** სტუმრად არიან იტალიელი ჟურნალისტები — გაზეთების „პაეზეს“ და „პაეზე სერას“ მთავარი რედაქტორის მოადგილე მიქელ სალერნო და ამ გაზეთების მიმომხილველი გუჯერო ძანფანდი. ისინი ეცნობიან საქართველოს სსრ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას, რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებასა და შრომას.

იტალიელმა ჟურნალისტებმა დაათვალიერეს თბილისი, იყვნენ ახალმშენებლობათა რაიონებში. რუსთავში ისინი ეწვივნენ ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანას, გაეცნენ ქალაქს.

მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა იტალიელ სტუმართა შეხვედრამ „სსრ კავშირი-იტალიის“ საზოგადოების საქართველოს განყოფილების აქტივისტებთან. ამ საზოგადოების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, ლიტერატურის კრიტიკოსი ბესო ჟღენტი გულთბილად მიესალმა მიქელ სალერნოსა და გუჯერო ძანფანდის. მან უამბო იტალიელ სტუმრებს „სსრ კავშირი-იტალიის“ საზოგადოების განყოფილების მუშაობის შესახებ.

მიქელ სალერნომ და გუჯერო ძანფანდიმ მხურვალე მადლობა გადაიხადეს იმ გულთბილი მიღებისათვის, რაც მათ გაუმართეს, დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი პირველი შთაბეჭდილებანი საქართველოში ყოფნის შესახებ. (საქდესი).

# ბანაკი ქალაქში

**კომკავშირის** სტალინის რაიკომში მარტო ახალგაზრდობას როდი ხედავთ ზაფხულის დღეებში. აქ მოდიან დედები, მამები, უფროსები. სურთ გაიგონ ქალაქის ტიპის პიონერული ბანაკის პირობები, ყველას უნდა საზაფხულო არდადეგების პერიოდში ამ ბანაკში დაასვენოს მოზარდი...

სამახსოვრო იყო ზაფხულის მზიანი დღე დედაქალაქის სტალინის რაიონის ბავშვებისათვის. მათთვის სტუმართმოყვრულად გაიღო ბანაკის კარი, რომელიც მოწყობილია პლეხანოვის პროსპექტზე, პიონერთა და მოსწავლეთა ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე. პარკში დაიწყო სისხლსავსე ცხოვრება. ბავშვები გატაცებით შეუდგნენ მოედნებზე თამაშს. მაგრამ აი მათ უხმობენ მწკრივში. ბანაკის ახალგაზრდა პედაგოგი დ. გოგავა და უფროსი პიონერხელმძღვანელი გ. სუპატაშვილი მათ უხსნიან ბანაკის შინაგანაწესს. იქვე არიან თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური და უცხო ენათა ინსტიტუტების სტუდენტები — პრაქტიკანტები. მათ ზაფხულის პერიოდში უნდა იმუშაონ ამ პიონერებთან.

სიყვარულით შესცქერიან თავიანთ შვილებს და მათ აღმზრდელებს მშობლები.

ბავშვები განაწილებული არიან რაზმებად, რგოლებად. დანიშნული არიან ხელმძღვანელები.

სადილის დროა. ბავშვები კმაყოფილი არიან გემრიელი, ნოყიერი საჭმლით...

ყოველი დღე საინტერესოა აქ ბავშვებისათვის. საუბრები, თამაში, ექსკურსიები ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში, კოლექტიური სვლა თეატრებსა და კინოებში — ყოველივე ეს ამდიდრებს, აღრმავებს მათს ცოდნას, ჰმატებს მათ ხალისსა და ენერგიას. პარკის მუშაკები (დირექტორი ი. შოთაშვილი) ენერგიას არ ზოგავენ, რომ აქ ბავშვებმა კარგად დაისვენონ. პარკმა ბანაკს ბავშვების განკარგულებაში გადასცა სასპორტო მოედნები, აუზი, საწრეო მუშაობისათვის საჭირო ნივთები. სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლმა ბავშვებს დაუთმო თავისი კინოდარბაზი, იგი კვირაში ორჯერ უფასოდ უჩვენებს მათ კინოფილმებს.

ბანაკში პიონერთა პირველმა ნაკადმა შესანიშნავად დაისვენა. მოვიდა შემდეგი ნაკადი. პარკში, სადაც ბანაკია გამართული, დუღს მჩქეფარე ცხოვრება.

ასე, ქალაქშივე შინაარსიანად და საინტერესოდ ატარებენ ქალაქელი პიონერები და მოსწავლეები არდადეგებს, რომ დასვენებულნი, გაჯანსაღებულნი შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს.

**ვ. ყუფარაძე,**
თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

* * *



**სურათზე:** ამ ორმა პიონერმა ბანაკში გაიცნეს ერთმანეთი და მათ შორის, როგორც ხედავთ, მეგობრობის ძაფიც მალე გაიბა.

ფოტო გ. გოგოხიასი.

# ადამიანს სმენა დაუბრუნდა



**რუსთაველ** მასწავლებელს მ. უკოლოვას უბედურება ეწია — თითქმის სრულიად დაეკარგა სმენა. ავადმყოფი რამდენიმე წლის მანძილზე მკურნალობდა ქალაქ რუსთავის პოლიკლინიკაში, მაგრამ ამაოდ, დაავადება თანდათან უძლიერდებოდა, აწუხებდა საშინელი, განუწყვეტელი ხმაური ყურებში.

რუსთავის პოლიკლინიკამ იგი სამკურნალოდ გაგზავნა თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კლინიკაში, რომელიც ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფოს შესაბამისი განყოფილების ბაზაზე მუშაობს.

პროფესორმა ს. ხეჩინაშვილმა მ. უკოლოვას, რომელსაც ოტოსკლეროზი ჰქონდა განვითარებული, გაუკეთა ოპერაცია — ეგრეთწოდებული, ფენესტრაცია, რომლის შედეგად ავადმყოფი თანდათან გამოჯანსაღდა და ხუთი კვირის შემდეგ მთლიანად აღუდგა სმენა.

პროფესორ ს. ხეჩინაშვილს ვთხოვეთ მკითხველებისათვის მოეთხრო მკურნალობის ამ მეთოდზე, რომელიც მან პირველმა განახორციელა ამიერკავკასიის რესპუბლიკაში. ასეთი ოპერაციები წარმატებით კეთდება მხოლოდ მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის კლინიკებში.

აი რა გვიამბო მან:

მკითხველებს უთუოდ დააინტერესებთ, რა არის ოტოსკლეროზი. ეს მძიმე დაავადებაა. რომელიც იწვევს ადამიანის ზოგჯერ სრულ დაყრუებას. რა იწვევს ოტოსკლეროზს, ეს დღემდე გაურკვეველია. ამ ავადმყოფობის დროს ყურის ლაბირინთში ჩნდება ძვლოვანი წანაზარდები, რომლებიც აფერხებს ერთ-ერთი სასმენი ძვლის (უზანგის) მოძრაობას, რის შედეგადაც ბგერა ვერ აღწევს სასმენი ნერვის დაბოლოებებს. ამ დაავადების სამკურნალოდ დღემდე მოწოდებული ყველა სამკურნალო პრეპარატი და ფიზიოთერაპიული მეთოდი უშედეგო იყო. მკითხველს უთუოდ ისიც აინტერესებს, რა გაუკეთდა ავადმყოფ უკოლოვას. სპეციალური საოპერაციო მიკროსკოპის ქვეშ გაკეთდა ოპერაცია — ფენესტრაცია. ქირურგს შუა და შიდა ყურზე ოპერაციის წარმოებისას ისეთი ნატიფი მანიპულაციის შესრულება უხდება, რომ შეუიარაღებელი თვალით მისი გაკეთება შეუძლებელია და საშიშიც არის. ფენესტრაცია ლათინურად ნიშნავს დაფანჯვრას ე. ი. ქირურგიული ჩარევით ყურის ლაბირინთში ახალი ნახვრეტის შექმნას, რომლის საშუალებითაც ბგერა აღწევს სასმენ ნერვამდე. უკოლოვას გავუკეთეთ ეს და ამის შედეგად ავადმყოფს სმენა აღუდგა. ცხადია უკოლოვას სასმენი ნერვი რომ ჰქონოდა გადაგვარებული, ეს ოპერაცია უშედეგო დარჩებოდა, ამიტომ ქირურგიული ჩარევა მხოლოდ იმ შემთხვევებში შეიძლება, როდესაც სასმენი ნერვი არ არის დაზიანებული, ამის დადგენა შეიძლება ოპერაციამდე სმენის გამოკვლევის სხვადასხვა მეთოდებით.

ოტოსკლეროზის ქირურგიული მკურნალობა ახალი და მეტად პერსპექტიული საქმეა. ჩვენმა კლინიკამ ოპერაციის დამუშავების დროს გაითვალისწინა როგორც საბჭოთა კავშირის წამყვანი კლინიკების, ისე უცხოეთის სამედიცინო დაწესებულებების გამოცდილება. წელს მე ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ხაზით ოთხ თვეს ვმუშაობდი უცხოეთის ქვეყნების კლინიკებში გამოცდილების ურთიერთგასაზიარებლად.

ამჟამად ყველა საჭირო მოწყობილობა გვაქვს სმენის აღდგენითი ქირურგიის განსავითარებლად, — ამბობს ბოლოს პროფესორი ს. ხეჩინაშვილი, — ჩვენ მზად ვართ გავაკეთოთ ასეთი ოპერაციები და დავუბრუნოთ სმენა იმ ადამიანებს, რომლებიც წლების განმავლობაში იტანჯებიან ამ საშინელი სენისაგან.

ამჟამად ქალაქის პირველ საავადმყოფოსთან შექმნილია ყურის თანამედროვე ქირურგიის ცენტრი. კლინიკაში მუშაობს სმენის გამოსაკვლევი კაბინეტი, სადაც გამოყენებულია ყველაზე თანამედროვე მეთოდები — ტონალური და მეტყველებითი აუდიომეტრია. ეს უკანასკნელი მეთოდი პირველად არის გამოყენებული საქართველოში.

დაე პირველი ნუ იქნება ახალგაზრდა პედაგოგის მ. უკოლოვას სიხარულის ცრემლები, რომლებიც პროფესორ ს. ხეჩინაშვილის მადლიანმა მარჯვენამ გამოიწვია.

**ე. მამალაძე.**

* * *

**სურათზე:** თბილისის ქალაქის I საავადმყოფოს პროფესორი ს. ხეჩინაშვილი ამოწმებს ავადმყოფ მ. უკოლოვას სმენას.

ფოტო გ. გოგოხიასი.

# ქართველი მსახიობები უკრაინაში

**კიევი,** 21 ივლისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დილით კანევიდან დაბრუნდა რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობთა ჯგუფი, რომელმაც ინახულა დიდი უკრაინელი მწერლის ტ. შევჩენკოს საფლავი.

... მზიანი დილა იყო ქალაქ კანევში. სამდინარო ვაგზლის ბაქანზე შეიკრიბნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, ინტელიგენციის წარმომადგენლნი, პიონერები. ისინი გულთბილად შეხვდნენ ქართველ სტუმრებს და ყვავილების თაიგულები უძღვნეს მათ. შემდეგ ყველანი გაემართნენ ტარას შევჩენკოს საფლავისაკენ, რომელიც არის დნეპრისპირა მთაზე — ჩერჩენაზე. ადგილი უაღრესად ზუსტად შეესაბამება პოეტის სურვილს, რომელიც გამოთქმულია მის ცნობილ „ანდერძში“:

... როცა მოვკვდე, მე დამმარხეთ,
სად ყორღანი ატანილა,
საყვარელი უკრაინა
ტრამალებით გადაშლილა.

დიდი პოეტის საფლავზე გაიმართა იმპროვიზებული მიტინგი. რუსთაველის თეატრის კოლექტივის სახელით სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ. მან თქვა:

— გენიალური პოეტი, გამოჩენილი მხატვარი და მოაზროვნე, რევოლუციონერ-დემოკრატი, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი — ასე იცნობს ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს მთელი საბჭოთა ხალხი, ასე იცნობს მას ჩვენი მშობლიური საქართველოც, რომლის სახელით ჩვენ სიყვარულით და პატივისცემით ვიხრით მუხლს უკრაინელი ხალხის დიდებული შვილის წინაშე.

დიდი პოეტის საფლავი ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით შეამკეს.

საქართველოს წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს დიდად პოპულარული საბჭოთა საბავშვო მწერლის არკადი გაიდარის საფლავი, რომელიც მამაცთა სიკვდილით დაიღუპა სამშობლოსათვის ამ ადგილებში 1941 წელს, და რუსული სცენის კორიფეს ალექსანდრე ლენსკის საფლავი.

• • •

წარმატებით ჩაიარა გუშინ თეატრის მორიგმა პრემიერამ პ. კოჰოუტის პიესამ „ასეთი სიყვარულია“. სპექტაკლზე უკრაინული კულტურის ცნობილ მოღვაწეთა შორის იყო სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის აკადემიური დიდი თეატრის სოლისტი ი. კოზლოვსკი, რომელიც ამჟამად საგასტროლოდაა კიევში.

— მოსკოვში, — თქვა მან, — მე ვერ ვნახე ვერც ერთი სპექტაკლი ამ შესანიშნავი კოლექტივის შესრულებით. ახლა მინდა ავინაზღაურო დანაკლისი. დადგმამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. გულწრფელად მახარებს ახალგაზრდობის წარმატება. იგი ღირსეული ცვლაა. ჩემს ძველ მეგობრებს შეუძლიათ დამშვიდებული იყვნენ. ესტაფეტა საიმედო ხელშია.

ქართული თეატრის თითქმის ყველა სპექტაკლს ესწრება რეჟისორი—თეატრმცოდნე ვ. გაჯებუში — რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედების კარგი მცოდნე. ჩვენთან საუბარში მან გაიხსენა ს. ახმეტელის დადგმები „ანზორი“ და განსაკუთრებით „ოლევა“.—„ოლევა“, — თქვა მან, — მე ვნახე ჩვენი ქვეყნის ბევრ თეატრში, მაგრამ ვერც ერთი დადგმა ვერ შეედრება რუსთაველელთა დადგმას: განსაკუთრებით დამამახსოვრდა ქსენიას როლში თამარ წულუკიძე. ასეთი ქსენია მე აღარ მინახავს. მახსოვს საუცხოო გოდუნი უ. ჩხეიძის შესრულებით, ა. ხორავას დიდებული კაპიტანი და სხვები.

პავლე კოჰოუტის პოპულარული პიესა „ასეთი სიყვარულია“ მე ვნახე უკრაინისა და მოსკოვის თეატრების სცენაზე. შემიძლია მტკიცედ ვთქვა, რომ რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი ერთ-ერთი საუკეთესოა.

დღეს საღამოს ოქტომბრის სასახლის სცენაზე მეორედ უჩვენებენ პიესას „ასეთი სიყვარულია“, გაიმართება შემოქმედებითი შეხვედრა ფრანკოს სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივთან.

**საქართველოს** სურათების სახელმწიფო გალერეაში თვენახევარს იყო გამოფენილი აზერბაიჯანის სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრები. გამოფენა შეუფარდდა ღირსშესანიშნავ თარიღებს — რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს. აზერბაიჯანელ ფერმწერთა, მოქანდაკეთა, გრაფიკოსთა შემოქმედებამ დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობაში.

# ჩვენი მეგობრების ხელოვნება

ქართული კულტურის მოღვაწეებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა და მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანელ მხატვართა ნამუშევრების განხილვაში, რომელიც მოაწყო საქართველოს კულტურის სამინისტრომ და მხატვართა კავშირმა.

განხილვა დაიწყო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნების განყოფილების უფროსის ნ. ქადეიშვილის შესავალი სიტყვით. სურათების გალერეის დირექტორის მ. თოფურიას მოხსენების გამო „აზერბაიჯანის საბჭოთა სახვითი ხელოვნების აყვავება“ გამოვიდნენ: ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი შ. კვასხვაძე, მოქანდაკე მ. თალაკვაძე, საქართველოს სახალხო მხატვარი ე. ახვლედიანი, მხატვრები რ. თარხან-მოურავი და ქ. ხუციშვილი.

აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ სალამ-ზადემ მხურვალე მადლობა გამოთქვა საგულისხმო რჩევისა და გამოფენის კარგი ორგანიზაციისათვის. (საქდესი).

# შ. ბ. ხიდაშელი



ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გულსხმიერი, თავმდაბალი პარტიული მუშაკი შოთა ბიქტორის-ძე ხიდაშელი.

შ. ბ. ხიდაშელი დაიბადა 1910 წელს სოფელ სვირში (ზესტაფონის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. 1925 წელს შევიდა ალკკ რიგებში, ხოლო 1930 წელს მიიღეს სკკპ წევრად.

1931-დან 1937-წლამდე შ. ხიდაშელი მუშაობდა სოფელ სვირში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1938 წლიდან იგი პარტიულ სამუშაოზეა. მუშაობს პარტიის ზესტაფონის რაიკომის ინსტრუქტორად, მდივნად კადრების დარგში, შემდეგ კი — მეორე მდივნად.

1941-დან 1943-წლამდე შ. ხიდაშელი ჯერ ახმეტის, ხოლო შემდეგ ლაგოდეხის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი იყო. 1943 წლიდან მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის რაიკომის პირველ მდივნად, შემდეგ პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის პარტკოლეგიის მდივნად. 1953-დან 1957 წლამდე შ. ხიდაშელი იყო საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, შემდეგ 1958 წლის დეკემბრამდე პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი.

შ. ხიდაშელი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით. იგი იყო საქართველოს სსრ მესამე და მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

შ. ხიდაშელის ნათელი ხსოვნა დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

# სპორტის ამბები

## მასობრივი ალპინიადა

ყაბარდო-ბალყარეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად ადგილობრივმა მშრომელებმა მოაწყეს მასობრივი ალპინიადა იალბუზზე. მიუხედავად იმისა, რომ მწვერვალზე იერიშის დღეებში არახელსაყრელი ამინდი იდგა და წინსვლა გაძნელდა, 21 ივლისს 1.440 ალპინისტმა — მეშახტემ, მუშამ, მოსამსახურემ, კოლმეურნემ, სტუდენტმა დაიპყრო მწვერვალი, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 5.633 მეტრია.

ალპინიადის მონაწილეებმა მწვერვალზე აიტანეს ვ. ი. ლენინის ბიუსტი, ნ. ს. ხრუშჩოვის პორტრეტი და ააფრიალეს წითელი დროშა. მასობრივი ალპინიადა წარმატებით დამთავრდა.

## „მცირე ოლიმპიადა“

**ახლა** ჭადრაკის მოყვარულთა საერთო ყურადღებას სტუდენტთა შორის მსოფლიო გუნდური პირველობის გათამაშება, ან, როგორც მას უწოდებენ, „მცირე ოლიმპიადა“ იპყრობს. ბრძოლა ლიდერობისათვის თავიდანვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის წარიმართა და ეს მეტოქეობა დღესაც გრძელდება.

21 ივლისს ლენინგრადში შედგა ჩემპიონატის მეექვსე ტური. თამაში თითქმის ყველა დაფაზე შეუპოვარი იყო, მაგრამ მთავარი მაინც ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მოჭადრაკეების შეხვედრა იყო იუგოსლავიისა და მონღოლეთის გუნდებთან.

იუგოსლაველებმა ამერიკელ მოჭადრაკეთა წინააღმდეგ შეხვედრა ძლიერად ჩაატარეს და მოიგეს იგი 2,5:0,5 (ერთი პარტია გადადებულია). სსრ კავშირის გუნდი თამაშობდა მონღოლ მოჭადრაკეებთან. აქ მხოლოდ ერთი პარტია აღმოჩნდა შედეგიანი (გაიმარჯვა ბ. სპასკიმ), დანარჩენი სამი პარტია გადაიდო საბჭოთა მოჭადრაკეებისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

ბულგარელებმა დაამარცხეს ინგლისის გუნდი 2,5:1,5.

ექვსი ტურის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს 24 შესაძლებლიდან 19 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, სსრ კავშირის გუნდს — 16 ქულა და 3 გადადებული პარტია.

## საერთაშორისო შეხვედრები

21 ივლისს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. თურქეთის ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო გუნდი „გალატა-სარაი“ შეხვდა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ქვეჯგუფის ლიდერს მოსკოვის „ტორპედოს“. სტუმრებმა ეს შეჯიბრება ძლიერად ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2. ამრიგად, „გალატა-სარაის“ ფეხბურთელებმა საბჭოთა კავშირში გამართული 4 შეხვედრიდან წააგეს 3 (ლენინგრადის „ზენიტთან“, დონის როსტოვის სკა-სთან და ბაქოს „ნეფტიანიკთან“) და მოიგეს მხოლოდ 1 (მოსკოვის „ტორპედოსთან“).

• • •

ამ დღეებში სსრ კავშირში საერთაშორისო შეხვედრების გასამართავად ჩამოვიდა ჰოლანდიის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდი „ფეიენორდი“. (როტერდამი). ჰოლანდიელი ფეხბურთელები პირველად ესტუმრნენ ლენინგრადს და ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე შეხვდნენ საკავშირო პირველობის გათამაშების მეორე ქვეჯგუფის ერთ-ერთ ლიდერს ლენინგრადის „ადმირალტეეცს“. მატჩი ხასიათდებოდა მძაფრი ბრძოლით და დამთავრდა სტუმართა სასარგებლოდ ანგარიშით 1:0.

ლენინგრადიდან „ფეიენორდის“ გუნდი თბილისში ჩამოვიდა, სადაც 24 ივლისს შეხვდება თბილისის „დინამოს“.

## საქართველოს სპორტსმენთა წარმატება

ხარკოვში გრძელდება სტუდენტ სპორტსმენთა საკავშირო საზაფხულო ასპარეზობა. როგორც ვიუწყებოდით, პირველი გამარჯვება ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს მოუტანეს ჩოგბურთელებმა; მათ პირველი და მეორე ადგილი დაიკავეს.

თბილისელთა წარმატება ამით არ ამოწურულა. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მაგიდის ჩოგბურთელებმა დასკვნით მატჩში დაამარცხეს მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტის გუნდი და პირველი ადგილი დაიკავეს.

კარგად გამოდიან აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელები, ფრენბურთელები და ხელბურთელები. მაგალითად, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები, აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელბურთელები გამარჯვებული გამოვიდნენ ქვეჯგუფებში და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

# რედაქციისაგან

„კომუნისტის“ ა. წ. 19 ივლისის ნომერში მოთავსებულ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში, რომელიც რედაქციამ საქდესისაგან მიიღო, საქდესის მიზეზით დაშვებულია შეცდომა და არასიზუსტე. ამიტომ განმეორებით ვბეჭდავთ განყოფილების — „სოფლის მეურნეობა“ მეთორმეტე აბზაცს:

**„სახელმწიფომ შეისყიდა 274 ათასი ცენტნერი ხორცი (ცოცხალი წონით), ე. ი. 118 ათასი ცენტნერით, ანუ 76 პროცენტით მეტი, ვიდრე 1959 წლის პირველ ნახევარში და ერთიორად მეტი, ვიდრე დამზადებული და შესყიდული იყო 1953 წელს ამავე პერიოდში; რძე შესყიდულია 727 ათასი ცენტნერი, ე. ი. 83 ათასი ცენტნერით, ანუ 13 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში და 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე დამზადებული იყო 1953 წელს ამავე პერიოდში; კვერცხი შესყიდულია 50 მილიონი ცალი, ე. ი. 13 მილიონი ცალით, ანუ 36 პროცენტით მეტი, ვიდრე 1959 წლის პირველ ნახევარში, 3,5-ჯერ მეტი, ვიდრე დამზადებული იყო მთელი 1953 წლის მანძილზე“.**


**საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ქ. ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი**

**აცხადებს 1960-1961 სასწავლო წლისათვის მიღებას საბიბლიოთეკო და მუსიკალურ (ხალხური ინსტრუმენტების და გუნდის ხელმძღვანელობა) განყოფილებებზე.**

საბიბლიოთეკო და მუსიკალურ განყოფილებებზე მიიღებიან შვიდწლედის კურსდამთავრებულნი. სწავლის ხანგრძლივობა საბიბლიოთეკო განყოფილებაზე 3 წელია, ხოლო მუსიკალურ განყოფილებაზე — 4 წელი.

სასწავლებელში შესვლის მსურველებმა **მისაღები გამოცდები უნდა ჩააბარონ: საბიბლიოთეკო განყოფილებაზე:** 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), 2. მათემატიკაში (ზეპირი); **მუსიკალურ განყოფილებაზე:** 1. მუსიკალური მონაცემების შემოწმება: სმენა, რიტმი, მეხსიერება, მეტყველება და რომელიმე ხალხური ინსტრუმენტის დაკვრა, 2. ქართულ ენაში (წერა, ზეპირი), 3. მათემატიკაში (ზეპირი).

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე, არჩეული სპეციალობის ჩვენებით, შემდეგი საბუთების დართვით: 1. დახასიათება სკოლიდან ან მუშაობის ადგილიდან, 2. 7 კლასის დამთავრების მოწმობა (დედანი), 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, შემოწმებული ორგანიზაცია-დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, 4. ავტობიოგრაფია, 5. დაბადების მოწმობა (ნოტარიუსის მიერ დამოწმებული პირი), 6. სამხედრო ბილეთი (სამხედროვალდებულთათვის) წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად, 7. სამი ფოტოსურათი 3X4 სმ, 8. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 286), 9. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 10. კულტურის განყოფილების მომართვა მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ.

**შენიშვნა:** მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარებისას კონკურსგარეშე მიიღებიან: ა) ის პირები, რომლებსაც აქვთ სახალხო მეურნეობაში პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი, ბ) ის პირები, რომლებსაც საშუალო სკოლის შვიდი კლასი დამთავრებული აქვთ ქების სიგელით (ფრიადოსნები), გ) დიდი სამამულო ომის მონაწილენი, დ) საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულნი.

საბუთები მიიღება 31 ივლისამდე, გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე. **დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის დირექციაში** (ქ. ქუთაისი, ტელმანის ქ. № 19).


# ამინდი

ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ — ასეთია მოსალოდნელი ამინდი 24 და 25 ივლისისათვის. დასავლეთ საქართველოში იქროლებს სუსტი ზომიერამდე, ხოლო რიონის ხეობაში დროგამოშვებით ძლიერი ქარი; აღმოსავლეთ საქართველოში ალაგ-ალაგ მოვა ხანმოკლე ელჭექიანი წვიმა.

ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით იქნება 14-დან 21 გრადუსამდე, დღისით 25-დან 31 გრადუსამდე.


რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**



**თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი**

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1960-61 სასწავლო წლისათვის I და III კურსებზე

I კურსზე მიიღებიან მოქალაქენი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა, ხოლო III კურსზე — სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.

ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოს-ტოპოგრაფებს ტოპოგრაფიულ, აეროფოტოტოპოგრაფიულ და გეოდეზიურ სამუშაოთა საწარმოებლად.

**მიღების წესები საერთოა ყველა ტექნიკუმისათვის.**

მოსწავლენი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით და საერთო საცხოვრებლით შესაძლებლობის მიხედვით.

**განცხადებები მიიღება** ყოველ დღე (გარდა კვირა დღეებისა) დილის 9 საათიდან საღამოს 5 ს. 30 წუთამდე.

**ტექნიკუმის მისამართი:** თბილისი, ილ. ჭავჭავაძის პროსპ. № 25, ტელეფონი 2-30-33.



**ჩვენი მისამართი და ტელეფონები:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

უე 04313 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.